პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

სამშაბათი, 20 აგვისტო, 1940 წ.
საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო
№ 23 (146) ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თექვსმეტი რესპუბლიკის ურყევი კავშირი

ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ისტორიაში ბრწყინვალე თარიღად შევა 1940 წლის აგვისტოს დღეები, სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მუშაობის დაწყების და დამთავრების დღეები. ამ ისტორიულმა სესიამ ერთხმად მიიღო და დაამტკიცა კანონები მოკავშირე მოლდავიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის და საბჭოთა კავშირში ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მიღების შესახებ. ყველა ეს ქვეყანა წინათ ჩვენი დიდი სამშობლოს ფარგლებში შემოდიოდა და ათეული წლების მანძილზე მათი მშრომელი მოსახლეობა რუსეთის ყოფილი იმპერიის მშრომელ მასებთან ერთად თავდადებულ გმირულ ბრძოლას აწარმოებდა თვითმპყრობელობის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობად. სამოქალაქო ომის და ჩვენი სამხედრო სისუსტის წლებში იმპერიალისტებმა ეს ქვეყნები ძალდატანებით მოსწყვიტეს ჩვენს დიდ რევოლუციურ სამშობლოს და კვლავ გააბატონეს იქ მემამულეებისა და ბურჟუაზიის ძალმომრეობა.

საბჭოთა კავშირის ძლევამოსილება, საბჭოთა მთავრობის ბრძნული პოლიტიკა დაეხმარა ბესარაბიის, ჩრდილოეთ ბუკოვინის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სახალხო მასებს ერთხელ და სამუდამოდ ქედიდან გადაეძროთ მემამულეთა და კაპიტალისტთა მძიმე უღელი.

სოციალისტურ სამშობლოს ფარგლებში მათი შემოსვლა მათ წინაშე შლის სამეურნეო და კულტურული აყვავების უდიდეს პერსპექტივებს. ათეულ მილიონ საბჭოთა მოქალაქეს მოელის უბედნიერესი მომავალი, ყველა ის სიკეთე რომელიც 23 წლის ბრძოლითა და შრომით მოიპოვა ჩვენმა დიდმა კავშირმა და რომელიც ოქროს ასოებით აღბეჭდილია დიად სტალინურ კონსტიტუციაში. „ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ამ რესპუბლიკების შემოსვლა საბჭოთა კავშირში უზრუნველყოფს მათთვის სწრაფ სამეურნეო აღმავლობას და ნაციონალური კულტურის ყოველმხრივ აყვავებას, რომ საბჭოთა კავშირში შემოსვლის შემდეგ მათი ძალები ბევრად გამრავლდება, მათი უშიშროება განმტკიცდება და მასთან ერთად კიდევ უფრო გაიზრდება დიდი საბჭოთა კავშირის ძლევამოსილება.“ (მოლოტოვი).

მომავლის ასეთივე რწმენით და იმედით იყო გამსჭვალული შემოერთებული რესპუბლიკების წარმომადგენელთა მიერ უმაღლესი საბჭოს სესიის მაღალი ტრიბუნიდან წარმოთქმული სიტყვები. შეიცავდნენ რა უდიდეს სიხარულს ჩვენს დიდ სოციალისტურ სამშობლოში ამ ხალხების შემოსვლის გამო, ამავე დროს ეს სიტყვები გულისტკივილით გვამცნობდნენ, თუ რა ტანჯვა-წამება განიცადეს მათ შინაური ექსპლუატატორების და უცხოელი იმპერიალისტების უღელქვეშ, თუ რამდენად დაეცა მშრომელი მასების მატერიალური და კულტურული დონე, თუ როგორ იხშობოდა და იდევნებოდა მათი მშობლიური ენა, მათი ეროვნული კულტურა. მაგრამ ხალხის სულიერი სიმტკიცე რჩებოდა მაინც შეუდრეკელი, ხალხი ინახავდა და უვლიდა საუკუნეებით შექმნილ თავის კულტურულ ღირებულებას. უფრო მეტი: საბჭოთა კავშირის ხალხების ბედნიერებით შთაგონებული იგი ფარულად ჰქმნიდა, ფარულად განაგრძობდა შემოქმედებას და ახალ კულტურულ ღირებულებათა შექმნას. ყველაფერი ის, რაც კი რამ მათ ღირსეული და მნიშვნელოვანი შექმნეს, ჩვენს დიდ სამშობლოში ეხლახან შემოსულმა ხალხებმა შექმნეს იმ რწმენით, რომ ისინი გახდებიან საბჭოთა კავშირის თანასწორუფლებიანი წევრები, დიდი სოციალისტური აღმშენებლობის თანამონაწილენი.

შემოუერთდნენ რა საბჭოთა ხალხების დიდ სოციალისტურ ოჯახს, ისინი ხელცარიელი როდი მოსულან.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოციან წლებში რუსული პოეზიის გენიოსს პუშკინს ხიბლავდა და აჯადოვებდა მოლდავური ხალხური პოეზიის მელოდიური ჰანგები, ასევე დიდად აფასებდა მოლდავურ ხალხის შემოქმედებას დიდი უკრაინელი მწერალი მიხეილ კოცუბინსკი. მოლდავური მუსიკა, მწერლობა, მოლდავური ქორეოგრაფია და ხელოვნების სხვა დარგები მათი დიდი მხატვრული ღირსების გამო საბჭოთა მკვლევარების განსაკუთრებული ყურადღების და შესწავლის საგანს წარმოადგენდნენ, მით უფრო ეხლა, როცა მოლდავია გახდა მოკავშირე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, — პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით მოლდავური ხელოვნება აყვავებულ წარმტაც ბაღნარად გადაიქცევა.

ასევე, ბალტიის პირა ხალხებმა — ლიტველებმა, ლატვიელებმა, ესტონელებმა, რომელთაც მრავალი განსაცდელი გამოიარეს, რომელთა თავზე არა ერთმა ქარტეხილმა გადაიქროლა, შექმნეს, შეინარჩუნეს და ჩვენ დრომდე მოიტანეს ხალხური შემოქმედების მრავალი ძვირფასი ძეგლი, დაიცვეს და შეინარჩუნეს თავისი ეროვნული ხელოვნების სიცხოველე და თავისებური ორიგინალობა. ლატვიური ხალხური ეპოსი „ლაჩკლესისი“ წარმოადგენს ლატველი ხალხის გმირული ბრძოლის, გმირული თავგადასავლის შესანიშნავ და წარმტაც განსახიერებას. მუსიკის მცოდნეთა დასკვნით ლატვიური ხალხური მუსიკა თავისი მელოდიურობით უდიდესი ესთეტიური განცდის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს. ესტონურ ეპოსს „კალევიპოეგს“ მკვლევარები გვერდში უყენებენ ფინურ „კალევალას“, ყველა ეს ძეგლი ხდება ყველა საბჭოთა მოძმე ხალხის კუთვნილებად, მათი სულიერი სამყაროს გამდიდრების წყაროდ.

გაფართოვდა რა საბჭოთა კავშირის ფარგლები, ამასთან ერთად გაიზარდა საბჭოთა მწერლების ოჯახი, ჩვენს რიგებს შემოუერთდა ისეთი ცნობილი და ხალხისთვის საყვარელი მწერალი, როგორიც არის ბუკოვინელი მწერალი ქალი ოლგა კობილიანსკაია, მწერალი, რომლის მთელი შემოქმედება გამსჭვალულია მჩაგვრელების წინააღმდეგ ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლის იდეით. საბჭოთა მწერლების რიგებში ჩადგნენ ლიუდას გირა და იოჰანეს ბარბარუსი, ვილის ლაცისი და ანდრეი უპიტი, პეტრის ცვირკა და იოჰანეს სემპერი. ესენი არიან თავის ქვეყნის ღირსეული შვილები და მოქალაქენი, ისინი თავიანთი ხალხების განსაცდელის დროს ხალხთან იყვნენ, ისინი დარჩნენ ხალხის ერთგულნი, ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლნი. ვერავითარმა გაჭირვებამ, ბურჟუაზიული მთავრობების მხრივ ვერავითარმა დევნამ, ვერავითარმა ციხემ და კატორღამ, ვერავითარმა მატერიალურმა და მორალურმა დამცირებამ ვერ გასტეხა მათი მებრძოლი სული. მათ შეულახავად და წმინდათ მოიტანეს ხალხის ბედნიერებისათვის თავდადებული მებრძოლი მწერლის სახელი, მათ კალამს ერთხელაც არ დაუწერია ხალხის მჩაგვრელთა საქებო და სადიდებელი სიტყვა. მათი კალამი ამხნევებდა და ბრძოლის სულისკვეთებას უღვივებდა თავისუფლებისათვის მებრძოლ მასებს. ხალხთან მათი განუყრელი კავშირით აიხსნება ის ფაქტი, რომ განთავისუფლებულმა ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა მართველობის საჭე თავის სხვა შვილებთან ერთად ზემოხსენებულ მწერლებსაც ჩააბარეს და წარმოგზავნეს ისინი თავიანთი ნებისყოფის გამომხატველ წარმომადგენლებად საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს მე-7 ისტორიულ სესიაზე.

ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის წარმომადგენელმა მწერლებმა, ამ ხალხების სხვა დელეგატებთან ერთად, შესანიშნავად შეასრულეს ეს ისტორიული მისია — ამცნეს რა საბჭოთა კავშირის ხალხებს თავიანთი ხალხების საუკუნეებრივი ჩაგვრით გამოწვეული გულისტკივილი და მათი მტკიცე გადაწყვეტილება სამუდამოდ დაუკავშირდნენ სოციალიზმის მშენებელ მასებს.

ამიერიდან ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის წინ გაშლილია სამეურნეო და კულტურული აღორძინების პირდაპირი და ფართო გზა. ძლევამოსილი საბჭოთა კავშირის დახმარებით, **ლენინ-სტალინის** პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ახალი მოკავშირე რესპუბლიკები უმოკლეს ვადაში გახდებიან რა მოწინავე აყვავებულ რესპუბლიკებად ეკონომიურად და კულტურულად წამოეწევიან და გაუსწორდებიან ჩვენი დიდი სამშობლოს მოწინავე რესპუბლიკებს.

მწერალთა კავშირში

17 აგვისტოს შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს ლიტფონდის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. შალვა დადიანის მოხსენება ლიტფონდის მომავალი მუშაობის შესახებ და დასახა ღონისძიებები, რომლის საფუძველზედაც მომავალი წლიდან ლიტფონდის მუშაობა გაფართოვდება.

რუსეთის მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობას (გოსლიტიზდატი) საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავისათვის განზრახული აქვს გამოსცეს წიგნი ქართულ მწერლობაზე, რომელშიაც მიმოხილულ იქნება ჩვენი მწერლობა უძველეს დროიდან დღემდე.

პრეზიდიუმმა ამ წიგნის შესადგენად გამოჰყო კომისია, რომელშიაც შედიან ბ. ჟღენტი (თავმჯდომარე), პ. ინგოროყვა, გ. ქიქოძე, დ. ბენაშვილი და შ. რადიანი.

პრეზიდიუმმა მოისმინა მწერალთა კავშირის წევრთა მიმღები კომისიის მოხსენება კავშირში ახალ წევრების მიღების შესახებ. მწერალთა კავშირის წევრებად მიღებულ იქნენ: მამედ ვარშანიძე, გიორგი ნახუცრიშვილი, კოტე ხიმშიაშვილი, იროდიონ ქავჟარაძე, გიორგი ცაგარელი, მარიკა ბარათაშვილი, ლადო ასათიანი, ილია ზურაბიშვილი (ელეფთერიძე), არტაშეს კარინიანი, სურენ ავჩიანი.

ღირსშესანიშნავი თარიღი

(თბილისის მუშათა 1900 წლის აგვისტოს გაფიცვის 40 წლისთავის გამო)

მიმდინარე წლის აგვისტოში შესრულდა ორმოცი წელი მას შემდეგ, რაც თბილისში მოეწყო რკინიგზის სახელოსნოების და დეპოს მუშათა გრანდიოზული გაფიცვა. გაფიცვა მოეწყო ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით, ამხანაგ **მ. ი. კალინინის** აქტიური მონაწილეობით.

ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ეს ფურცელი, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხის რევოლუციური მოძრაობის მთელი ისტორია, — მჭიდროდ არის დაკავშირებული დიდი სტალინის სახელთან. ამხანაგმა სტალინმა, ებრძოდა რა ქართველ ლეგალურ მარქსისტებს, მუშათა სტიქიურ მოძრაობაში შეიტანა სოციალისტური იდეალები, შეაერთა მუშათა მოძრაობა სოციალისტურ მსოფლმხედველობასთან. აგვისტოს გაფიცვა იყო მუშათა კლასის მასობრივი ბრძოლის ფართო გამოვლინება, რომლითაც მუშათა ეკონომიური მოთხოვნები უშუალოდ დაუკავშირდნენ პოლიტიკურ მოთხოვნებს, ეს იყო ეკონომიური გაფიცვის გადაყვანა პოლიტიკურ რელსებზე, ეს იყო აშკარა პოლიტიკური ბრძოლა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

აგვისტოს გაფიცვის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აღნიშნა „ბრძოლამ“ ამ გაფიცვის ერთი წლის თავზე „ბრძოლა“ სწერდა: „1900 წ. რკინიგზის სახელოსნოს მუშათა გაფიცვა მეტად შესანიშნავი იყო ბევრი სხვა მხრითაც. ამ მუშების გმირულმა ბრძოლამ მომხიბვლელი შთაბეჭდილება მოახდინა მთელი თბილისის მუშებზე და გაფიცვა გადამდებ სენივით მოედვა მრავალ ქარხნებს: ენფინჯიანცისას, ადელხანოვისას, მირისას და სხვ. და სხვ., რომლებშიაც მუშები არა ნაკლებ მედგრად იბრძოდნენ, გამხნევებულნი, სხვათა შორის, პროკლამაციებითაც. დამფრთხალმა მთავრობამ იკადრა აეძულებია „ხაზეინები“ ბევრი რამ დაეთმო მუშებისათვის.

ამ ამბების შემდეგ მთელი თბილისის მუშები გამოდიან ბრძოლის ველზე და თითქმის დღე არ გადის ისე, რომ ერთ რომელიმე სამრეწველო დაწესებულებაში მაინც გაფიცვა არ იყოს... და ასე შეუჩერებლად, ასე ბუმბერაზივით იზრდება ჩვენში მუშათა მოძრაობა მიუხედავად იმისა, რომ მას წინ ეღობება მრავალი სიძნელე და დაბრკოლება“. (გაზ. „ბრძოლა“ № 2-3, 1901 წელი).

და მართლაც მუშათა მოძრაობა შეუჩერებლად ბუმბერაზივით იზრდებოდა. ამ მოძრაობის სული და გული, შთამგონებელი და ორგანიზატორი იყო „მესამე დასის“ უმცირესობა ამხანაგ სტალინის მეთაურობით, ეს იყო რევოლუციურ-მარქსისტული ჯგუფი, — რომელშიაც შედიოდნენ **ი. სტალინი, ლადო კეცხოველი** და **ს. წულუკიძე,** — და რომელიც 1898 წელს ჩაისახა „მესამე დასის“ შიგნით, ამ ჯგუფმა გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა „მესამე დასის“ უმრავლესობას; „მესამე დასის“ უმრავლესობის წარმომადგენლები და კერძოდ ნოე ჟორდანია არ აყენებდნენ კაპიტალიზმთან რევოლუციური ბრძოლისა და ბურჟუაზიული წყობილების დამხობის საკითხებს, „მესამე დასის“ უმრავლესობის იდეოლოგი ნ. ჟორდანია იცავდა კაპიტალიზმის პროგრესიულობის თეზისს, ჰქადაგებდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ იდეებს.

„მესამე დასის“ უმცირესობამ სტალინის მეთაურობით გააფართოვა თავისი გავლენა მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეებში, გააფართოვა თავისი გავლენა საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მუშათა რიგებში, განუმარტა მშრომელებს, რომ პოლიტიკური ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, კაპიტალიზმის დამხობა არის მუშათა კლასის ბრძოლის ერთად-ერთი ჭეშმარიტი გზა და ისტორიული ამოცანა. ამ გზით წაიყვანა თბილისის პროლეტარიატი ახალგაზრდა სტალინმა. „მესამე დასის“ უმცირესობა დაუკავშირდა და სათავეში ჩაუდგა თბილისის საწარმოთა მოწინავე მუშებს და პირველ რიგში რკინიგზის მთავარი სახელოსნოების და ამიერ-კავკასიის რკინიგზის დეპოს მუშებს, 1898 წლის დასაწყისიდან ამხანაგი სტალინი მარტო რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში და დეპოში უკვე ხუთ არალეგალურ წრეს ხელმძღვანელობდა, რომელშიც შედიოდნენ მოწინავე მუშები.

1898 წელს თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში პირველად მოეწყო დიდი გაფიცვა. ამის შემდეგ უფრო ფართოვდება რევოლუციურ მუშათა წრეები, ეწყობა პოლიტიკური დემონსტრაციები, თბილისის მუშებს შორის ვრცელდება არალეგალური პროკლამაციები, რომლებიც მოუწოდებენ მუშათა კლასს დაირაზმოს და ორგანიზებულად შეებრძოლოს გაბატონებული კლასების ხროვას.

აგვისტოს გაფიცვას წინ უძღოდა მაისობის დღესასწაული, რომელიც თბილისის მუშებმა მოაწყეს მლაშეტბის მიდამოებში.

ამ მაისობის შემდეგ ივლისამდე თბილისის საწარმოებში გაფიცვების ტალღა არ შეწყვეტილა. გაფიცვებში თბილისის მუშები, დარაზმულნი ამხანაგ სტალინის მიერ, — იჩენდნენ მაღალ პოლიტიკურ ორგანიზებულობას და შეურყეველ სიმტკიცეს.

ივლისის განმავლობაში მწიფდებოდა ის დიდი გაფიცვა, რომელმაც 1 (14) აგვისტოს თავზარი დასცა თვითმპყრობელობის მოხელეთა და კაპიტალისტთა ხროვას. თვრამეტ ივლისს სახარატო საამქროს მუშებმა თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს ადმინისტრაციას, ამავე თვეში გროვდებოდა შეწირულება მუშათა შორის საგაფიცვო ფონდის გასაძლიერებლად, ყველა საამქრო გაძლიერებით ემზადებოდა გაფიცვისათვის. 28 ივლისს სახარატო საამქროს მუშების მოთხოვნილებას შეუერთდა სავაგონო საამქრო. 30 ივლისს შესდგა ცალკეული საამქროების წარმომადგენელთა თათბირი, სადაც განიხილეს შექმნილი მდგომარეობა და აირჩიეს დეპუტაცია, რომელსაც ადმინისტრაციისათვის მუშათა მოთხოვნები უნდა წარედგინა.

ხსენებული თათბირის მონაწილეთა უმრავლესობა თბილისის ჟანდარმერიამ იმავე ღამეს დააპატიმრა.

ადმინისტრაციის მხეცურ გამოსვლას მუშებმა ერთსულოვანი გაფიცვით უპასუხეს, პირველ აგვისტოს, დილის 9 საათზე ყველა საამქრომ შესწყვიტა მუშაობა, 12 საათიდან დეპო და სახელოსნოები დახურული იქნა. თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ამხანაგ სტალინის მეთაურობით აწყობს კრებებს, ბეჭდავს პროკლამაციას, ხელმძღვანელობს გაფიცვას.

გაფიცულ მუშათა შორის გავრცელებული პროკლამაცია მოუწოდებდა:

„მუშები არსად არ არიან ისე დამცირებულნი, დამონავებულნი როგორც ჩვენში.

ჩვენ მთელ სისხლსა გვწოვენ, ცოცხლებს ტყავს გვაძრობენ, ჩვენ ტკივილებს განვიცდით, ჩვენს ტკივილებზე, ჩვენს ტანჯვაზე ერთმანეთს შევჩივით, ხოლო ლაპარაკი აკრძალული გვაქვს.

ვგმინავთ ცემისაგან, რასაც მათგან ყოველ წუთს განვიცდით, ჩვენ ჯალათ ჟანდარმებს გვისევენ...

წინ მეგობრებო—ამხანაგებო, მოვიშოროთ ჩვენი სისხლისმსმელების სამარცხვინო უღელი“.

ამ მგზნებარე საბრძოლო მოწოდების შემდეგ პროკლამაციაში ჩამოთვლილი იყო მუშათა მოთხოვნილება: ზედმეტი სამუშაო საათების გაუქმება, მუშათა ხელფასის გადიდება 100%-ით იმათთვის, ვინც ერთ მანეთზე ნაკლებს ღებულობს, და 30%-ით, ვინც ერთ მანეთზე მეტს ღებულობს, ადამიანური მოპყრობა ოსტატების და ბრიგადირების მხრით, დაპატიმრებულ ამხანაგების განთავისუფლება და სხ.

მუშათა გაფიცვას დამფრთხალმა მთავრობამ სასტიკი რეპრესიებით უპასუხა, 6 აგვისტოს თბილისში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადეს, ჯარებმა ალყა შემოარტყეს დეპოს, რკინიგზის მთავარ სახელოსნოებს და მუშათა უბნებს. დაიწყეს მუშების მასობრივი დაპატიმრება, თბილისის საპყრობილეები აავსეს დაპატიმრებული გაფიცულებით; მაგრამ ყოველივე ამან ვერ გასტეხა თბილისის მუშათა კლასი, ის ვერ შეაშინა მთავრობის გაცოფებულმა ტერორმა.

გაფიცვა განსაკუთრებული, ველური სიმკაცრით, ყაზახთა და ჟანდარმთა ხიშტებით ჩააქრეს.

ამ გაფიცვამ უდიდესი ისტორიული როლი ითამაშა ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის გაფართოვების და გაძლიერების საქმეში. მან პოლიტიკური ბრძოლის ახალი ფურცელი გადაშალა, დარაზმა რა მუშათა კლასი მეფისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ეს ერთი იმ გაფიცვათაგანი იყო, რომლითაც ამხანაგი სტალინი ზრდიდა მუშათა ფართო ფენებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე, აიარაღებდა მათს შეგნებას მებრძოლი მარქსისტულ-ლენინური იდეებით.

აგვისტოს გაფიცვაში მუშებმა მიიღეს შესანიშნავი გამოწრთობა, მათ მიიღეს პოლიტიკური ბრძოლის გაკვეთილები, მათ შეითვისეს და შეისისხლხორცეს ბრძოლის სახელოვანი სტალინური ტრადიციები.

სტალინური ავიაციის დღესასწაული

თვრამეტი აგვისტო საბჭოთა ავიაციის საყოველთაო-სახალხო ტრადიციული დღესასწაულია. ამ დღეს ჩვენი დიდი სამშობლო აღნიშნავს სტალინური ავიაციის უდიდეს წარმატებებს და სახელოვანი სტალინური შევარდნების საბრძოლო მზადყოფნას.

საბჭოთა კავშირის ხალხები, საბჭოთა პატრიოტების მრავალმილიონიანი არმია სიხარულით და სიამაყით შესცქერის უძლიერეს, უბადლო საჰაერო ფლოტს, რომლის მფრინავებმაც დაიპყრეს ცის სივრცეები, რომელთათვის არ არსებობს გადაულახავი დაბრკოლება. ჩვენი სამშობლოს სტალინური შევარდნები დაფრინავენ ყველაზე მაღლა, ყველაზე სწრაფად, ყველაზე შორ მანძილზე.

ყოველდღიურად, ყოველ საათობით იზრდება საბჭოთა საჰაერო ფლოტი, მტკიცდება მისი სამხედრო ძლიერება. საბჭოთა ავიაციის განუწყვეტელი ზრდა, მისი შეიარაღება ყველაზე მოწინავე ტექნიკით უზრუნველჰყო სტალინური ხუთწლედების წარმატებით განხორციელებამ, რომლებმაც საბჭოთა კავშირი უძლიერეს ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადააქციეს. საბჭოთა ავიაცია და საერთოდ მთელი ჩვენი შეიარაღებული ძალები, ჩვენი წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი იზრდებოდნენ და იზრდებიან ჩვენი სამშობლოს ზრდასთან ერთად.

საბჭოთა ავიაციის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ ის განუყრელად დაკავშირებულია დიდ საბჭოთა ხალხთან. ჩვენს ხალხს უყვარს თავისი არმია, საბჭოთა საზღვრების ერთგული გუშაგი, და არაფერს არ იშურებს მისი ძლიერების განსამტკიცებლად; ყოველი მფრინავი, ყოველი მებრძოლი და მეთაური განუწყვეტლად გრძნობს, რომ მასზე უღრმესი სიყვარულით ზრუნავს საბჭოთა სამშობლო, ზრუნავს მთელი ხალხი, მასზე განუწყვეტლივ ზრუნავს დიდი **სტალინი.**

საბჭოთა ავიაცია ძლიერია არა მარტო თავისი მრისხანე საბრძოლო ტექნიკით, ის ძლიერია თავისი შესანიშნავი კადრებით. საბჭოთა ავიაციის პირად შემადგენლობას ბადალი არა ჰყავს მთელს მსოფლიოში. საბჭოთა მფრინავები არიან ღირსეული შვილები სამშობლოსი, უსაზღვროდ ერთგულნი პარტიისა, მჭიდროდ შეკავშირებულნი შეგნებული დისციპლინით, ისინი ყოველ მხრივ და სრულყოფილად არიან დაუფლებულნი ურთულეს სამხედრო ტექნიკას, მათ ყოველგვარ პირობებში შეუძლიანთ იმოქმედონ.

ეს კადრები, ეს ადამიანები, აღზარდა ბოლშევიკურმა პარტიამ, დიდმა **სტალინმა.** სტალინის სახელი შთააგონებს ჩვენს მფრინავებს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, სტალინური ზრუნვით და სიყვარულით გამხნევებულნი ისინი მზად არიან შეებრძოლონ ყოველგვარ თავდამსხმელს და დაუყოვნებლივ გაანადგურონ ის.

ჩვენი დროის უდიდესი მფრინავი, უდროოდ დაღუპული ვ. ჩკალოვი ერთ მოგონებაში მოგვითხრობდა ამხანაგ **სტალინთან** თავისი შეხვედრის შესახებ. ამხანაგმა სტალინმა მისცა ჩკალოვს მრავალი შეკითხვა, ყურადღებით მოისმინა მისი პასუხები და შემდეგ ჰკითხა, რატომ ის არ სარგებლობს პარაშუტით და მხოლოდ იმასა ცდილობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, გადაარჩინოს მანქანა.

„მე ვუპასუხე, — იგონებდა ჩკალოვი, — რომ ვფრინავ გამოსაცდელ, ძლიერ ძვირფას მანქანებზე, რომელთა დასაღუპავად გამეტება მენანება, ჩვეულებრივ ვცდილობ გადავარჩინო მანქანა და მასთან ერთად ჩემი თავიც.

— თქვენი სიცოცხლე ძვირფასია ჩვენთვის ყოველგვარ მანქანაზე, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა.

დიდ ბელადთან შეხვედრის შემდეგ, — განაგრძობს ჩკალოვი, — ჩემი ცხოვრების შინაარსი უფრო გამდიდრდა. მე ვიწყე ფრენა უფრო დისციპლინირებულად, ვიდრე ადრე ვფრინავდი... ხუთი სიცოცხლე რომ მქონდეს, არ დავფიქრდებოდი და ისე გავწირავდი მას სამშობლოსათვის, სტალინისათვის“.

ამ სიტყვებში, რომელშიაც ისმის გულწრფელი და უღრმესი საბჭოთა პატრიოტიზმი, გამოხატულია ჩვენი მფრინავების, მამაცი სტალინური შევარდნების უგულითადესი მისწრაფებანი.

ამ გრძნობით, ამ სიყვარულით აღფრთოვანებულმა მათ უკვდავი დიდების შარავანდედით შემოსეს საყვარელი სამშობლოს სახელი და უჩვენეს მთელს მსოფლიოს, რომ არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს გაუძლოს სტალინური ავიაციის შეტევას, არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს წარბი შეახრევინოს საბჭოთა მფრინავების უმამაცეს თაობას.

სტალინური ავიაციის ამაყმა შევარდნებმა ეს ნათლად დაამტკიცეს, როცა ხასანის ტბის რაიონში გააცამტვერეს თავდამსხმელთა ძალები, ჩვენი ავიაციის უძლეველობა და საბრძოლო უპირატესობა ნათლად გამოჩნდა შორეულ მონგოლეთის მინდვრებში, მდინარე ხალხინგოლთან, სადაც საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგე, რომელმაც გაბედა და დაარღვია ჩვენდამი მეგობრულად განწყობილი მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრები. საბჭოთა მფრინავებმა თავი ისახელეს იმ დიდ განმათავისუფლებელ ბრძოლებში, რომლებიც საბჭოთა მთავრობის ბრძანებით წითელმა არმიამ ჩაატარა დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის ხალხების გამოსახსნელად პოლონელი პანების ბატონობის უღლიდან; ჩვენი სამშობლოს ჩრდილოეთ-დასავლეთ საზღვარზე თეთრ ფინელებთან ბრძოლის დროს საბჭოთა ავიაციის დევგმირებმა გმირობის და ვაჟკაცობის ლეგენდარული ნიმუშები გვიჩვენეს. წითელმა არმიამ გაანადგურა ე. წ. მანერჰაიმის სიმაგრეები, რომელნიც მანამდე მიუვალად ითვლებოდნენ. ამ ბრძოლებში საბჭოთა მფრინავებმა გრანდიოზული როლი შეასრულეს, მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენმა თვითმფრინავებმა მანერჰაიმის სიმაგრეებისაგან ქვა-ქვაზედაც აღარ დასტოვეს.

კაპიტალისტურ მსოფლიოში დღეს მძვინვარე იმპერიალისტური ომია გაჩაღებული. ამ ომს, რომელიც ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტებმა გააჩაღეს, ბოლო ჯერ კიდევ არ უჩანს. ჩვენი სამშობლო, ბრძნული სტალინური საერთაშორისო პოლიტიკის წყალობით, ერთგული მშვიდობიანობისა და ნეიტრალიტეტის პოლიტიკისა, ამ ომში მონაწილეობას არ იღებს, ჩვენი ქვეყანა განაგრძობს თავის მშვიდობიან შრომას და ამავე დროს ყოველდღიურად უფრო მეტად განამტკიცებს თავის მობილიზაციურ, საბრძოლო მზადყოფნას, აძლიერებს თავის სიფხიზლეს.

ჩვენი არმია, ჩვენი საჰაერო ფლოტი უძლეველია იმიტომ, რომ მასზე ზრუნავს, მას ზრდის და შთააგონებს კომუნიზმის დიდი სტრატეგი და მთავარსარდალი ამხანაგი სტალინი. სადაც სტალინია, გამარჯვებაც იქ არის!

ამირანის მოდგმა

სიმონ ჩიქოვანი

მოშინაურდა ცის აივანი,
და შევარდნებმა ზეცა დაფარეს.
ამაღლდა მხარე და ამირანი
ხმალით მოხაზავს მტრების სამარეს.
ხმალს აკისკასებს მკვდრეთით ამდგარი
და შევარდნები ახლავს მარქაფა;
ხმლის ელვით განვლო ბევრი ავდარი,
და ქარიშხალიც ხმალით გაკაფა.
მისი მოდგმაა ნანეიშვილიც —
ჰაერს შემოკრავს ფრთას გამალებით.
დაიხატება ფრთებქვეშ გაშლილი
მთები, წყარონი და ტრამალები.
თეთრი ფინების ბუდე დალახვრა,
და კალევალას ამცნო ცისკარი,
ან ამირანის გულის თანახმად
მტარვალს გაუპო გულის ფიცარი.
ვინ ჩაუკირა ფრთებში ალმასი,
ირმის ნახტომი ვინღა აჩვენა;
ვინღა გამოწრთვნა აგრე მამაცი
და დაულოცა გმირის მარჯვენა.
ალბად კირავდა გორის სიმაგრე,
ქონგურები და ციხის სარქველი,
კრემლში წამომდგარ ბრძენის სიმაღლე
და მყინვარების სწრაფი ლანქერი.
საით მიჰქრიხარ, გუნდის მოთავევ!
თითქოს მოგდევენ მთიდან წყარონი,
ცა და მიწა გყავს, მოძმე ორთავე,
სპეტაკები და უანგარონი.
სად გააქანე ფრთები ნაჭედი,
გადაიქროლე ციხის ქონგური,
ეგებ წამოდგა ტაო-კლარჯეთი
და კვლავ ღუღუნებს მშობლის ჩონგური.
ან იქნებ გელის ქალი ლაზისა,
ნავით მიაპობს ზღვაურის მორევს;
ორი თვალი ხართ სილამაზისა,
ერთი ცაში და ზღვაში მეორე.
იქნებ წამოდგა თვით გორგასლანიც
და ამირანი თვალს არ უჯერის:
ქარში ცოცხლდება ციხის ნაცარი
და ფარი ელავს არტანუჯელი.

უკვდავი სახალხო ქმნილება

გიორგი ნატროშვილი

აღმოსავლეთის ხალხთა უაღრესად მდიდარ გონებრივ და სულიერ საუნჯეში უდიდეს ყურადღებას იქცევენ ვრცელი ეპიური პოემები, ეს მონუმენტალური სახალხო ქმნილებები, რომელნიც, როგორც ცოცხალი მატიანენი, მთელი სიმძაფრით და სისრულით გამოხატავენ თავისი ხალხის მთელ არსებას, მის საუკეთესო მისწრაფებებს. ასეთი კლასიკური ქმნილებებით მდიდარია აზიის ხალხთა ლიტერატურა.

ამ ეპოსის ერთ-ერთი უშესანიშნავესი ნიმუშია ყალმუხი ხალხის გმირული პოემა „ჯანგარი". ეს ნაწარმოები მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას. თავისებურია ყალმუხური ეპოსის სტილი და მსოფლშეგრძნობა. არაბულ-ირანული კულტურის ზეგავლენა, რომელიც საერთოდ ძლიერ გავრცელებულია აზიის ხალხთა ლიტერატურაში, ყალმუხთა ეპოსში და, კერძოდ, „ჯანგარში" არა სჩანს. „ჯანგარი" მხურვალე, აღგზნებული ფანტაზიით უფრო ინდურსა და ჩინურ ლიტერატურას ენათესავება. ეს გასაგებიც არის. როცა „ჯანგარის" გენიალური სიმღერები იქმნებოდა, ყალმუხები მაშინ ჯერ კიდევ ვოლგის მიდამოებში არ იყვნენ მოსულები. ისინი მაშინ ისევ ჯუნგარიაში (სინ-ძიანი) ძველ სამშობლოში ცხოვრობდნენ. როცა ყალმუხმა ხალხმა ველარ აიტანა ჩინეთის იმპერატორთა თარეში თავის ქვეყანაში, ფიზიკური განადგურებისაგან თავის გადასარჩენად ყალმუხები აიყარნენ და წამოვიდნენ დასავლეთისაკენ, გამოექცნენ გაუთავებელ ომსა და დაუსრულებელ უბედურებას. ეს იყო მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში. სწორედ ამ დროს (1632 წელს) მივიდნენ ყალმუხები ვოლგაზე. მაგრამ მათი გზა ვარდით დაფენილი არ აღმოჩნდა. ხალხის ტანჯვას ბოლო არ მოეღო. ყალმუხებს ახალ მიწა-წყალზე კვლავ დაადგეს მონობის უღელი საკუთარი ქვეყნის ფეოდალებმა და ბუდისტურმა სამღვდელოებამ. ამათ გარდა, რუსეთის თვითმპყრობელობა ყალმუხებსაც, ისევე, როგორც იმპერიაში მოსახლე ყველა სხვა ხალხს, ველურად სჩაგრავდა, არბევდა, აწიოკებდა, ართმევდა ყველა უფლებას, მაგრამ გმირი ხალხი კარზე მომდგარ ყველა ჭირს კვლავ მამაცურად უმკლავდებოდა.

ყალმუხურ მწერლობას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. 1643 წელს ყალმუხთა სწავლულმა ზაია-პანდიტამ ძველი ნიმუშების საფუძველზე შექმნა ახალი ყალმუხური დამწერლობა, რომელიც ცნობილია „ტოდო-ბიჩიგის" (ნათელი წერა) სახელით. ყალმუხურ ენაზე თვით ამ უძველეს დროსაც ითარგმნებოდა ინდური და ჩინური მწერლობის ნიმუშები. მაგრამ, მიუხედავად ზაია-პანდიტის შრომისა, წერილობითი ლიტერატურა ყალმუხთა შორის წარსულში ფართოდ ვერ გავრცელდა, და მოხდა ეს იმიტომ, რომ გაბატონებული კლასების წარმომადგენლები — ნოიონები და ზაისანგები ყოველთვის სცდილობდნენ სიბნელეში ჰყოლოდათ ხალხი. ფეოდალურმა წრეებმა კვლავ უანბანოდ და უწიგნოდ დასტოვეს ხალხი, გადაუკეტეს მას გზა წერილობითი ლიტერატურისაკენ. ამიტომ მოხდა, რომ ხალხმა მთელი ყურადღება ფოლკლორს მიაპყრო და იქ ჰპოვა ფართო შემოქმედებითი გასაქანი ხალხურმა გენიამ. ყალმუხურ ზღაპრებს, ლეგენდებსა და ეპიურ ქმნილებებში მოსჩანს მდიდარი შემოქმედებითი აღმაფრენა, აზრის სიმახვილე, სულიერი განცდის სიღრმე. ამ ქმნილებებს აღმოსავლეთის ხალხის მგზნებარე ფანტაზიის ბეჭედი აზის, ყალმუხთა ფოლკლორი გვაოცებს თავისი გონებამახვილობით და მხატვრული დახვეწილობით. ეს უბრალო მეჯოგეებისა და მწყემსების მიერ შექმნილი ნაწარმოებნი დღესაც გვხიბლავენ, დღესაც ინარჩუნებენ ისინი თავიანთ მხატვრულ სიდიადეს.

ყალმუხურმა ფოლკლორმა ადრე მიიქცია რუსეთის მწერლობის ყურადღება. 1834 წელს პეტერბურგში გამოქვეყნდა ნეფედიევის წიგნი, რომელშიაც მოყვანილი იყო ყალმუხური სიმღერების ნიმუშები, ხოლო 60-70-იან წლებში რუსეთის ლიტერატურაში ყალმუხურ ეპოსს უკვე ფართო ყურადღებას აქცევენ. ამ ხანებში რუსულად გამოიცა ყალმუხური ზღაპრებისა და ლეგენდების მრავალი კრებული. ეს კრებულები აცნობდნენ მკითხველთ ყალმუხი ხალხის მხატვრულ შემოქმედებას. ახლახან როსტოვის არქივში აღმოაჩინეს „ჯანგარის" ძველი თარგმანი, რომელიც ეკუთვნის ცნობილ მკვლევარს ი. ი. პოპოვს. ი. ი. პოპოვი დიდხანს სცხოვრობდა დონის ყალმუხთა შორის. მას შესწავლილი ჰქონდა ყალმუხური ენა და დამწერლობა. პოპოვს „ჯანგარი" ჩაუწერია აგრეთვე მონღოლურ და ყალმუხურ ენებზე. ეს ახლად აღმოჩენილი ხელნაწერი ამტკიცებს, რომ ინტერესი „ჯანგარისადმი" ძველადაც საკმაოდ ძლიერი იყო.

„ჯანგარი" ყველაზე შესანიშნავი ძეგლია ყალმუხური ეპოსისა. ეს პოემა არის ყალმუხი ხალხის ნაციონალური სიამაყე, მისი უგულითადესი გრძნობების საგანძური. „ჯანგარი" საერთოდ უაღრესად დიდი პოპულარობით სარგებლობს. ყალმუხებში მთელმა ხალხმა იცის ეს ნაწარმოები, ყალმუხთა ავტონომიურ რესპუბლიკაში არ მოიძებნება კაცი, რომელსაც ეს ცამეტიათას სტრიქონიანი პოემა მოსმენილი მაინც არა ჰქონდეს. ამ ნაწარმოების მორალსა და მსოფლმხედველობაზე იზრდებოდნენ და იზრდებიან ყალმუხი ხალხის მთელი თაობები. ყალმუხთა შორის არიან „ჯანგარის" პროფესიული შემსრულებლები, რომელთაც ჯანგარჩებს ეძახიან. ამ ხალხურმა მთქმელებმა საუკუნეების განმავლობაში დაღუპვას გადაარჩინეს თავიანთი ხალხის საყვარელი ქმნილება. ამასთან „ჯანგარს" მარტო საბჭოთა ყალმუხები როდი იცნობენ, — ეს ნაწარმოები ფართოდ არის გავრცელებული სინ-ძიანში, დასავლეთ ტიბეტში, ტანა-ტუვაში, მონღოლეთში და სხვ.

„ჯანგარი" უაღრესად ვრცელი ნაწარმოებია. იგი შესდგება თორმეტი სიმღერისაგან (ქართველმა პოეტებმა სთარგმნეს ერთი თავი: სიმღერა შულმუსების მრისხანე ხანის შარა-გიურგიუს დამარცხების შესახებ). ყოველი სიმღერა მიძღვნილია იმ გოლიათების ცხოვრებისა და ბრძოლისადმი, რომელნიც ჯანგარის ირგვლივ არიან შემოკრებილნი. ამ პოემის ყველა სიმღერაში იგრძნობა, რომ ის შექმნა ხალხმა, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში ბრძოლითა და ტანჯვით აღსავსე ვრცელი გზა გაიარა. ხალხმა, რომელმაც მამაცად გადაიტანა თავის ზურგზე ძველი ისტორიის ყველა საშინელება.

„ჯანგარის" ყოველი სიმღერისათვის დამახასიათებელია უაღრესად რთული სიუჟეტი. როგორც კ. ჩუკოვსკი აღნიშნავდა „პრავდას" ფურცლებზე, „ჯანგარი" ერთ-ერთი ყველაზე მუსიკალური პოემაა. ის უაღრესად მდიდარია კეთილხმოვანებით, შინაგანი რიტმით. მისი მხატვრული ქარგულობა რთულია და დიდებული.

მაგრამ მარტო ამ მაღალი მხატვრული ხარისხით როდი იქცევს „ჯანგარი" ყურადღებას. მთავარი ის არის, რომ ეს ნაწარმოები უაღრესად ხალხურია. მასში გამოხატულია ხალხის სიბრძნე, ხალხის უგულითადესი მისწრაფება სიმართლისა და თავისუფლებისაკენ. ამ ეპოსის თითოეული სტრიქონი გამსჭვალულია ხალხის მგზნებარე და მარად ჩაუქრობელი პატრიოტიზმით. ყალმუხმა ხალხმა შორეულ წარსულში, ხუთასი წლის წინად, შფოთისა და გაუთავებელი ომების, მძიმე ტანჯვის ატმოსფეროში თავისი სულის სიდიადე, თავისი მისწრაფება ბედნიერებისაკენ გადასცა ამ ქმნილებას, რათა მას მომავალი საუკუნეებისათვის ეჩვენებინა წინაპართა სულიერი კეთილშობილება და მხნეობა, თავდადება და ვაჟკაცობა. ჯანგარი იდეალური სახალხო გმირია, მამაცი და კეთილშობილი, რომელიც დაუღალავად ფიქრობს და ზრუნავს მარტო იმაზე, რომ თავისი ქვეყანა ააყვავოს და სამარადჟამოდ უძლეველი გახადოს. მთელი საუკუნეების განმავლობაში ეს ნაწარმოები ამხნევებდა ხალხს, უჩვენებდა მაგალითს, თუ როგორ უნდა სამშობლოსთვის ბრძოლა და მისთვის ვაჟკაცურად თავის განწირვა.

„ჯანგარში" მოცემულია დიდი ბრძოლების სურათები. მაგრამ მასში როდი არიან იდეალიზებული ის რაინდები რომელნიც უცხო ქვეყნების დაპყრობასა და გაძარცვაში ეძებდნენ სახელსა და დიდების მოხვეჭას. „ჯანგარის" გოლიათები ხალხის სიყვარულს ეძებენ და არა პირად დიდებას. ამით არიან ისინი უკვდავნი. „ჯანგარის" გოლიათებმა კარგად იციან, რომ გმირობა არის არა სხვისი სამშობლოს აწიოკება, მეზობელ ხალხთა განადგურება, არამედ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლა და ადამიანისადმი სიყვარული... იციან, რომ ეს არის ყველაზე უფრო მაღალი სათნოება და ვაჟკაცობა. ამ დიდებულ და კეთილშობილურ იდეას მკვეთრად და დამძაფრებულ სახეებში გადმოგვცემს ყალმუხთა ეპოსი. ჩვენ აქ შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ მაგალითს იმ ეპიზოდიდან, რომელიც ქართულად ითარგმნა.

როცა ჯანგარი ბუმბის ქვეყნიდან წავიდა და ეს მხარე თავის თანამებრძოლ ალისფერ გოლიათს ხონგორ-ხანს ჩააბარა, გარეშე მტრები ერთდროულად წამოიშალნენ, რომ დაესუსტებინათ და დაეცათ ბუმბის ქვეყნის ძლიერება. ბუმბის დასარბევად მოემზადებიან ქაჯები, შულმუსები. შულმუსების მთავარი შარა გიურგიუ ასეთ გეგმებს აწყობს:

„შენ რას იტყვი, რომ დავეცეთ
ხონგორს ჯარით დიდით,
განათებულ ბუმბის მთაზე
დავაყენოთ ბინდი,
უზარმაზარ ბუმბის ზღვაზე
გავდოთ მკვდრების ხიდი,
დავიპყროთ ხონგორ-ხანი,
ვეფხვი ალისფერი,
შიგ ქვესკნელში ჩავიყვანოთ
შულმუსების მტერი,
სატანჯველად მივუჩინოთ
წითელი ზღვის ფსკერი".
(თარგმ. გრ. აბაშიძისა).

და აი შეჰკრიბა შარა გიურგიუმ ჯარი „უხშირესი უღრანის ტყის შავის", შესივნენ ისინი ჯერ კნგეცაგანის მამულს, სისხლის ტბანი დააყენეს, სახლებისაგან მარტო ფერფლი და ნაცარიღა დასტოვეს. ამის შემდეგ ალყას არტყავენ ხონგრიხანსაც, არბევენ ბუმბის ქვეყანას და თითონ ხონგარსაც ატყვევებენ.

ეპოსში ეს დამპყრობელი ძალი წარმოდგენილია, როგორც ბნელი, ველური ურდო, როგორც ძარცვისა, გლეჯისა და ბოროტების სიმბოლო. ბუმბის ქვეყნის დიდებული რაინდები მამაცურად ებრძვიან ამ ბნელი ინსტიქტებით შთაგონებულ დამპყრობელ ძალას. კერძოდ, საუცხოოდაა გადმოცემული ეპოსში ის ბრძოლა, რომელსაც ჯანგარის შვილი, სამი წლის შოვშური უმართავს შულმუსებს. შოვშურის სახით ეპოსში გადმოცემულია ყველა ის საუკეთესო თვისება, რაც ჯანგარის თანამებრძოლებს ახასიათებს. როცა შოვშური გაანადგურებს ქაჯების ლაშქარს, დამფრთხალი და შეშინებული შარა გიურგიუ კოშკში ჩაიკეტება. ამის შემდეგ ყრმა შოვშური კოშკზე იერიშით მიდის. როცა შოვშურმა ხანის ციხეს სვეტი გამოჰგლიჯა და კოშკი ჩამოანგრია, გიურგიუ იძულებული გახდა გამოსულიყო გარეთ და პირისპირ შებრძოლებოდა მოწინააღმდეგეს. აი ამ ბრძოლის სურათიც:

„გაგიჟებულ სპილოს ჰგავდა
ყრმა შოვშური, ხელი,
უცებ მისწვდა გიურგიუს
ცარიელი ხელით.
დრო ურჩია, მუხის ბოძად
გადაუდვა ფეხი,
მძლავრ მკლავებში მომწყვდეული,
კისერ მონაგრეხი
მსწრაფლ მოღუნა წელში ისე,
მერც კი დაიგმინა
და თეძოთი დაუმსხვრია,
მკერდი როგორც მინა".
(თარგ. რ. გვეტაძისა).

წაქცეული გიურგიუ კვლავ წამოხტა და გაიქცა, მაგრამ ყრმა გოლიათი დაეწია და მაინც დაიმორჩილა ის.

ბრძენი ალტან ცეჯი ამის შემდეგ ამბობს, რომ გიურგიუს ხანი იმდენივე ხანს უნდა იყოს წამებაში რამდენ ხანსაც მან ჩვენი ხალხი სტანჯა და აწვალაო.

მთელი ეს ბრძოლები მოცემულია რაღაც გასაოცარი ძლიერებით, აქ თითქო ბუმბერაზული სუნთქვა ისმის.

„ჯანგარში" მოთხრობილია ის სიყვარული, რომლითაც სამშობლო ხვდება ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ გამარჯვებულ გმირებს.

მთავარი ის არის, რომ „ჯანგარში" გამოთქმულია ხალხის უძველესი ოცნება ბედნიერებაზე. ეს ოცნება „ჯანგარის" შემქმნელებს ეხატებოდათ მდიდარი და ულამაზესი ბუმბის ქვეყნის სახით. აი ამ ქვეყნის სურათი:

„ერთად იყვნენ, მათ არ სჭირდათ
წუთისოფლის სენი,
გასაყოფად არ იმოდთ
იქ ჩემი და შენი,
საამურად განიცდიდა
ამ ცხოვრებას ყველა,
ყველაფერი სასურველად
ვაშლილიყო ველად,
აქ ცხოვრობდნენ უკვდავების
გაუხრწნელი გულით,
ყველა იყო ბედნიერი
მარად გაზაფხულით".
(თარგმ. ქ. კალაძისა).

ყალმუხი ხალხი ხუთი საუკუნის წინ ჰქმნიდა ეპოსს, რომელშიაც ნატრობდა ისეთ მხარეს, სადაც მუდმივი გაზაფხული იქნებოდა, სადაც ყველა მხიარული და ბედნიერი იქნებოდა. ამ მზიურ მხარის მოლოდინი და მასზე ოცნება, იმისი იმედი, რომ ეს ოცნება ფრთებს შეისხამდა, ძალას აძლევდა ხალხს, გადაელახა ყველა საშინელი დაბრკოლება და შეჰგებებოდა დღევანდელ დღეს, როცა ხალხის უგულითადესი ფიქრი და ოცნება ულამაზეს სინამდვილედ იქცა.

მხოლოდ დღეს განხორციელდა ის ხანგრძლივი ოცნება, რომელიც უძველეს წარსულში გამოსთქვა ხალხმა თავის გენიალურ თქმულებებსა და სიმღერებში. ამიტომ განსაკუთრებული სიხარულით ზეიმობს ჩვენი ქვეყანა „ჯანგარის" ხუთასი წლის იუბილეს. ეს არის გამარჯვებული ხალხის ზეიმი. „ჯანგარის" იუბილე საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ზეიმია.

მზადება აკაკი წერეთლის იუბილესათვის

გამომცემლობა „ფედერაცია"

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამომცემლობა „ფედერაცია" აკაკი წერეთლის იუბილესათვის სცემს აკაკი წერეთლის რჩეულ ნაწარმოებთა ერთტომეულს შალვა დადიანის, ალიო მაშაშვილისა და გერონტი ქიქოძის რედაქტორობით. ერთტომეულში მოთავსებული იქნება: „თორნიკე ერისთავი", „პატარა კახი", „ჩემი თავგადასავალი", „ბაში-აჩუკი", დრამატიული პოემები და ლირიკული ლექსები.

გარდა ამისა, საიუბილეო დღეებისთვისვე გამოიცემა ლევან ასათიანის მონოგრაფია „ცხოვრება აკაკი წერეთლისა".

საბავშვო გამომცემლობა

საბავშვო გამომცემლობა აკაკი წერეთლის იუბილესათვის გამოსცემს სკოლამდელი ასაკისათვის — „ნობათს" (ლექსების კრებული), ნაწყვეტებს „ჩემი თავგადასავლიდან" და მდიდრულად დასურათებულ „პეპელასა და ჭიაჭუელას", დაწყებითი სკოლის ასაკისათვის „აკაკის საბავშვო მოთხრობებს", საშუალო სკოლის ასაკისა და მოზრდილთათვის — „ლექსებსა და პოემებს" და „თორნიკე ერისთავს" შენიშვნებით.

საქართველოს რადიო-კომიტეტი

საქართველოს რადიო-კომიტეტის განყოფილებები შეუდგნენ აკაკი წერეთლის იუბილესადმი მიძღვნილი გადაცემების მოწყობას.

რადიო-კომიტეტის ლიტერატურულ-დრამატიული სექტორის ხაზით დღემდე გადაცემულია: აკაკის „გამზრდელი" — ლიტერატურულ-მუსიკალური გადაცემა, „ბაში-აჩუკი" — ლიტერატურული კომპოზიცია, მოგონებანი აკაკიზე (არტურ ლეისტი, დ. კლდიაშვილი, ვ. ბარნოვი, თ. სახოკია და გ. ლასხიშვილი), აკაკის ლირიკა და პროზა, აკაკის მოგზაურობა საქართველოში, აკაკი როგორც პუბლიცისტი და მთარგმნელი; მომავალში გადაცემული იქნება საუბრები თემაზე „აკაკი და სამშობლო", „პატარა კახი" — ლიტერ-მუსიკალური კომპოზიცია, აკაკი, როგორც დრამატურგი, აკაკის ნაკვესები, აკაკის შემოქმედების ხალხურობა, აკაკი და ტარას შევჩენკო, აკაკი და 1905 წლის რევოლუცია, აკაკი მოძმე რესპუბლიკების ენებზე, პიესა „კინტო", ფრანგ მოგზაურის ბარონ დი ბაის შეხვედრა აკაკისთან ქუთაისში (გამოუქვეყნებელი მასალა). გარდა ამისა, ლიტერატურული სექტორი თავისი ინიციატივით და პროგრამით მოაწყობს კონცერტებს უკრაინისა და ბელორუსიისათვის და სხვ.

საბავშვო სექტორის ხაზით დღემდე გადაცემულია აკაკის ლექსები და პოემები, ნაწყვეტები „ჩემი თავგადასავლიდან" და „ნათელა" (ლიტ-მუსიკალური კომპოზიცია). მომავალში მოეწყობა ნორჩი დეკლამატორების, მუსიკალური შემსრულებლების და მწერლების გადაცემები და სხვ.

მუსიკალური სექტორის ხაზით გადაცემული იქნება „აკაკის შემოქმედება" (გაერთიანებული გადაცემა ლიტერატურულ-დრამატიულ სექტორთან ერთად), კამერული კონცერტი აკაკის ნაწარმოებებიდან, ხალხური სიმღერები აკაკის ლექსების მიხედვით და ის ახალი ნაწარმოებები, რომლებსაც კომპოზიტორთა კავშირის შეკვეთით სწერენ კომპოზიტორები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი ფანჯარასთან

ალექსანდრე ქუთათელი

ეაჟი შეეხო მარჯნის ფერ ტუჩებს,
ქალმა განაბა ნეტარით თვალი.
გავიდა ხანი და მერე ქუჩებს
გაჰყვა და გაჰქრა იმ კაცის კვალი.

ქალს კი მგზნებარე თვალები სწვავდა,
აგონდებოდა ათასჯერ ბედკრულს,
ვინაც შეფიცულ მეგობარს ჰგავდა
კუბოს ფიცრამდე პირობით შეკრულს.

გომბორის მთაზე თოვლი მოსული
ოქტომბრის ბოლოს ბარშიც დაეშვა.
იდგა სარკმელთან ვით მარტოსული
და მისცემოდა ქალი კაეშანს.

ქალის კაეშანს ვერ უშველიდა
ათას მკურნალთა გამოცდილება.
შეკრთა საბრალო დაჭრილ შველივით
და გადმოღვარა ცრემლი ღილებად.

მდუღარე ცრემლი წამწამს მოება,
რაზე სტიროდა ცრემლივე ამბობს:
წყევა ყოფილა განმარტოება
თუ ვერ ელირსე მიჯნურის ამბორს!

სწუხდა მარტვილი სული ობოლი
მოგონებათა სუსხის წინაშე
და განწირული ჭანდრის ფოთოლი
კვნესით წვებოდა ფანჯრის მინაზე.

ჩემზე ათი წლით პატარა რომ ხარ

ნიკოლოზ ჩაჩავა

სუფთა წყალივით რომ გეღვრება სიცილი ქალო —
ლამის ამოსკდეს გულიდან ღელე —
ყოველი კუნთი მაშინ სცოცხლობს და ისე ხარობს,
თითქოს მეც შენთან ვამბობ სიმღერებს.

შენი ხალისი სივრცეებსაც გადასწვდენია,
არ შევხვედრივარ შენს გულს ცარიელს.
ალბად ქალავ შენ და შენს გარემოს წილად გხვდენიათ,
თვალთა გუბეში დააშროთ ცრემლი.

წინ გადამიდექ, გადამასწარ როგორც თაობას,
კვალდაკვალ მოგსდევ თვინიერი და მარჯვე მგზავრი.
შენ ერთი ხარ და შენებრი გამბედაობა
ათასეულებს თან მოჰყვება, როგორც საგზალი.

ჩემზე მცირე ხარ... როგორ სწრაფად, რამდენად ადრე
შეგებებიხარ და შესცქერი დღეებს მზიანებს....
საკვირველია! რა მანძილი, რა პატარა დრო,
როგორ ასხვავებს ადამიანებს.



ჩაის პლანტაციაში (პანო-დეტალი).

მხატვ. ქრ. გიორგაძე.

თ ო რ ღ ვ ა ი

ლადო ბალიაური

„არ დაინდობი თორღვაო,
ბაგრატიონთა ხარია...
თემ-სოფლის მოღალატეო,
ღმერთ მოგცა სამართალია".
ხალხური.

არდოტის ხეობა ქარ-ბუქში იყო გახვეული. ყრუდ გუგუნებდნენ მთაგორები. დრო და დრო ქარი ჩადგებოდა, წუთით გამოჩნდებოდა დათოვლილი მიდამო და კვლავ ბურუსში დაინთქმებოდა. მქრალად მოსჩანდნენ მთის მკერდს მიკრული ქავციხენი. მყეფრების ღმუილი გაისმოდა ხანდიხან—ამინდს თუ სწყევლიანო სიავისთვის. ერთი კოშკის კარზე ტანმაღალი მამაკაცი მიყრდნობილიყო. გარინდებული, თოვლში ამოგანგლული მთა-გორის ქვითინს უგდებდა ყურს.

შინ შესულს დედის ძახილი შემოესმა—ავადმყოფი თავისკენ მოუხმობდა, დინჯად მიუახლოვდა, დაჯდა.

— მე ვარ, შენი შვილი, დედი!

— ახლოს დამიჯედი, თორღვავ!

თორღვა დაიხარა—თვალებში ჩახედა დედას. შავი დიდრონი თვალები საოცრად გაბრწყინებოდნენ. სახეზე ნაცრისფერი ედვა.

— საიქიოთ მეძახიან...—სთქვა მან, აძრახებისთანავე ხველა აუტყდა. ძლივს დაიწყნარა თავი.

— სამუდამოდ მიოლ... არ მინდა შენი გულისტკივილი გავიყოლო დარდად,—დაიწყო სნეულმა.

თორღვა უფრო მაგრა მიაწვა მკერდით ტახტის ფიცარს. კვლავ სიჩუმე ჩამოწვა.

— ნაბიჭვარი ხარ, თორღვავ!..

— ნუ...—წამოიძახა შემკრთალმა თორღვამ.

— მამაშენი უცნობი იყო ჩემდაც...

— ნეტამც არ გეთქვა!

— მაშინ ოცი წლისა ვიყავი, — ალსარებასავით დაიწყო სნეულმა. მამაკაცს არ გავეკარებოდი, ვაჟის ბაგენი არ შეხებოდნენ ჩემ ბაგეთ, გულს კი... გულს სილაღე სწყუროდა—არავინ იყო აკადრისი: ლამაზი იყო ქალბნელი, მის სიტურფეს გაიოცებდნენ. ქვენიც ფეხზე დგებოდნენ საცქერლად. ავი მამა ჰყავდა, არავინ ძურდა ქალის საქმროდ.. დღეები მიდიოდნენ სუბუქი სიზმარივით. ერთხელ ხორეშანი თეთრ ბატკნებს აძოვებდა მდინარე არღუნის ნაპირებზე. აოხებული მდინარის სიო ესალამუნებოდა. მზეს გაეხელებინა დედამიწა, მიწის მხურვალება გადასდებოდა ქალის ტანს. ქალის გული წყალმა მიიზიდა: არღუნის ტალღებმა მიუალერსეს. შემდეგ ყვავილებზე გაგორდა, ტანშიშველი მზის სხივებს გაენაბა... დიდი იყო ოცნება და სიამე... ცხენის ჭიხვინმა გამოაფხიზლა იგი: ფაფარაშლილი შავრა გასჭყიოდა ველს—ხორეშანს თავზე წამოსდგომოდა უცნობი ცხენოსანი. გაოცდა ქალი: სიზმარი ეგონა,—არც ისეთი ლამაზი სახის ვაჟკაცი ენახა, არც იმგვარი ფიცხი ცხენი. უნაგირი ოქროთი იყო მორთული, ოქროთ-მოვარაყებული აბჯარი ეცხა მხედარს. აკანკალდა ხორეშანი, მხოლოდ შიშველი მკერდი დაიფარა ფუნთუშა ხელებით, ბალახს გაეკრა. თრთოდა შიშით და სირცხვილით. ვაჟი სწრაფად გადმოხტა ცხენიდან, ხელგაშლილი უახლოვდებოდა. ქალს თავზარი დაეცა, შემდეგ საამო გრძნობა აუხევდა თავადაც, გახელებულმა მარჯვენა მკლავზე უკბინა უცნობს... გაიმართა ბრძოლა... დაოსებული ვაჟკაცი წამოდგა ფეხზე, ხორეშანი კი მწვანე ბალახებს ეკვროდა ისევ. თრთოდა შიშველი ტანი პატივახდილ ქალწულისა. გამოფხიზლების ჟამს ყეფა რამ გაისმა, ყორანმა გადაუარა თავზე. ვაჟმა მშვილდი მოიმარჯვა, სტყორცნა ისარი, წივილით მიეჭრა ფრინველს ფრთეთეთრი ქაიბური. მხოლოდ ერთი ფრთა მოსტეხა, საზარლად დაიჩხავლა ყორანმა, თითქოს დასწყევლაო მემშვილდისრე. ამ დროს ცხენოსნები გამოჩნდნენ: ვაჟს ბაგრატიონობით მოუხმობდნენ, სწრაფად მოახტა იგი საფეხეს, მეჭაბუკივით მიეფარა მწვანე ტყეს, არღუნის სათავისკენ რომ მისდევდა მთის კალთებს...

— მე დავრჩი ღვთის ინაბარა.. შენ დამებადე, თორღვავ... დაამთავრა საუბარი ქალმა.

თორღვა კარგა ხანს არ იღებდა ხმას, შემდეგ იკითხა:

— რად არ მეტყოდი დღესნამდე ბაგრატიონობას.

— გული არ მაძლევდა ნებას... სირცხვილი...

— ბაგრატიონი ვყოფილვარ! გული გაულაღდა თორღვას.

— ნუ!.. — იწყინა დედამ.

ერთხელ თორღვამ ხახაბოლელი უთურგა მოიხმო, დილის ჟამს იახლა იგი, თავდახრით წარსდგა მის წინ, სიდინჯე შვენოდა ტანმაღალ ვაჟკაცს, შევერცხლილი აბჯარი რომ უმკობდა ფართო მხარ-ბეჭს. დიდხანს სდუმდნენ ორივენი: თორღვა თავიდან ფეხებამდის ათვალიერებდა, თითქოს შესყიდვა სურსო, ხოლო უთურგას სტუმრის მოვალეობა ეკისრა: უცდიდა მასპინძლის თქმას.

— უთურგავ! — დაარღვია სიჩუმე თორღვამ. მძლავრი ხმა ჰქონდა, ჰყვიროდა ხარივით. უთურგამ თავს ასწია, წვრილი თვალები თვალებში გაუსწორა, ტანი გამართა.

— მიმსახური!—თავმდაბლად უპასუხა მან.

— ძმობა მინდ შენი...

—ძმავ იყვ!..—გაიხარა უთურგამ.

— ერთი თხოვნა უნდა ამისრულ.

— დღეის შემდეგ ჩემი ხმალი შენ გემსახურების!..

— კისტან — ლებაისკარ უნდა აიღა ბეგარი ჩემი სახელით!

უთურგას ლეგა ფერმა გადაჰკრა სახეზე, ტანი დაეძრა ქარდაჯახებული წიფელივით.

— ბეგარიო! — ჩაილაპარაკა მან. ხმას გატეხა დაეტყო.

— არდვატმა და მუცომ მომცა თითო ცხვარი კომლზე, თითო საწყავი წმინდა და წელიწადში ათი ათი ვაჟკაცი ჩემა მებრძოლად... კისტანი ლებაისკარი შენდ მამინდვაეის, წყალობა არ მოგაკლდების...

— საძნელო საქმეს წაჰკიდებიხარ, თორღვავ, ხალხი ვერ აიტანს: მთა და ბატონი!..

— თორღვაის გული მაგით გაიხარებს.. ხმალი თავის ნებით ამაიწევს ქარქაშიდან! — ამაყად სთქვა თორღვამ და სახე შეუსივლავდა. ბრაზი გაციაგდა თვალებში.

უთურგამ დაინანა: რად ვუთხარიო ძმობა და გვერდზე ჩამოდგა მწყრალად. არდოტელი ბაძია წადგა თორღვას წინ: ჩოფურა ტანისა იყო, აჭვერი, ატუსული სახისა, ფშავიდან მოსულიყო.

— თადიაური ურჩობს: ბეგარზე უარი სთქვა!—უთხრა თორღვას და მზით დამწვარი სახე წამოუწითლდა.

— თადიაური...—მძიმედ ჩაილაპარაკა თორღვამ. მიწას მიაშტერდა.

— ჩვენს დანახვაზე მშვილდი მოიმარჯვა: არწივი ჩამოაგდო ჰაერიდან. აი პასუხიო, თქვა და თხუთმეტი მყეფარი აუშვა ერთბაშად. ყორანი ჰყეფდა თადიაურის ციხის კედელზე დამხმარ ხელებს. ისარნი წიოდნენ ჰაერში, ამაყობდნენ ფშაველის შვილები.

ამბობდა ამბის მომტანი, ხმა უკანკალებდა, ხოლო თორღვას ხელი მიუდიოდა ხმლისკენ, ბრაზით თრთოდა უზარმაზარი ტანი ვაჟკაცისა.

— ღერენავ! — დაიძახა მან.

ციხის კარი აჭრიალდა, პირშიშველი ჭაბუკი გადმოდგა ზღურბლზე, მშვილდისარი ეკავა ხელში, სამკლავენი და ფოლადის ჩაჩქანი ელვარებდნენ მზის სხივებზე, თორღვას დააკვირდა, არ ემა მისი დაღვრემილი სახე.

— ორი დღის შემდეგ თადიაურის მარჯვენა უნდა მომიტანა საჩუქრად, ღერენავ!..

ღერენას მწვავე ქროანტელმა დაუარა ტანში, მარცხენა წარბი შეუთამაშდა, გრძელი ჭრილობა რომ მისდევდა ცანდად.

— არც ერთი ჭრილობა თადიაურის ზურგიდან, არ გამაგონო!

ღერენამ მზეს შეხედა:

— ბელჰანა! — სთქვა გრიალა ხმით.

თორღვამ თავი დახარა, გაიღიმა, ხოლო ღერენამ მშვილდი შემართა: ეს იყო ნიშანი თანხმობისა.

თორღვას კოშკში სადილი გაიმართა. მთელ-მთელი ბატკნები შემოჰქონდათ შემწვარი. ვერძების მკერდი-გავა ეყარა ხის ტაბლებზე. მსუყე სუნი ასდიოდა მსუქანს. კოშებით სვამდნენ ლუდარას და ყვიროდნენ დაღრევებულნი. დერეფანში დიდი ცეცხლი დაენთო—ჯიხვის ხორცის მწვადები შიშხინებდა ქაქეზე. თორღვას მიართვითო,—იძახდნენ დიაცნი. იცინოდა თორღვა, ლუდ-არაყი ულაღებდა გულს, ლამაზ ქალებთან აშიკობდა უბრალოდ. ქალები თეთრ კბილებს აელვარებდნენ, აქებდნენ ვაჟკაცებს და ჰკოცნიდნენ მოურიდებლად. მხოლოდ თვალშურთხა ბელჰანა მორცხვობდა—შავ ბაღდადს იფარებდა სახეზე. ერთი თვის წინათ მოჰგვარეს იგი თორღვას ქისტეთიდან: ღამბერდათ ბისაჩის მარჯვენაში გასცვალეს. არ ელხინებოდა თვალცრემლიანს, მაგრამ მოსვენებას არ აძლევდა ღერენას ცეცხლიანი თვალები. რა უნდა ჩემგან,—უჩიოდა თავს, ვერ მიმხვდარიყო ღერენას წადილს, ხოლო ღერენა...

— მავკლავ... მავკლავ თადიაურს და ბელჰანა...—ჩაიფიქრებდა იგი მალიმალ და გული მძლავრად უცემდა, ფერი ეცვლებოდა, ვერავინ ამჩნევდა: ყვიროდნენ აღრევებულნი...

ბინდის ჟამს დაიშალა ღრეობა. ვაჟკაცებმა ყვირილით განვლეს კოშკის კარი და გაუჩინარდნენ. უთურგას ლეგა სახის ჭაბუკი აჰყვა კვალდაკვალ... პირ-ოფლიანი დაბრუნდა უკან: თორღვას უთურგას ხმალი მიართვა, თავის ხმლის სისხლიანი ფხა უჩვენა და გაიცინა ბავშვივით...

ღამე დაღლილივით დაწვა მთაგორებზე, ცის კიდურთ ვარსკვლავნი აციმციმდნენ და მხოლოდ მაშინ გაუდგა საფშაო გზას ღერენა.

იმ დღეს თადიაურის კოშკის კარზე მიმლოცველი არ გაწყვეტილა: გამარჯვებას რასმეს ულოცავდნენ. თადიაური თავმდაბლად უპასუხებდა, არას იმჩნევდა საკვეხარს, მხოლოდ ნელიად იტყოდა:

— ბრძოლისთვის გაჩნდების ვაჟკაცი!

ბოლოს ბახელმა ფუნჩიამ გაიხმო იგი:

— თორღვაის კაცი მოსულა: ხმალში საბრძოლველად გიწვევს,—უთხრა მოხათრებით.

თადიაურს საწყენმა მხარმა უთხრა, მარჯვენა ხელი გაიქნია ოდნავ.

— დილას!...—სთქვა და უკან გაბრუნდა: ქეთევანის ნახვა ეჩქარებოდა, თანაც სადარდელად დარჩა: — ვინ უნდა იყოს მებრძოლი, ვაითუ... დაფიქრებული შევიდა ქალის კოშკში, ქეთევანი მწყრალად შემოეგება:

— დამივიწყე! დაემდურა პირმშვენიერი.

თადიაურმა მოკლედ უამბო დაგვიანების მიზეზი: გზად მიმავალი ლეკების მზირს შეჰყროდა, შვიდი ლეკი მოუკლა მარტოს, ტყვედ წაყვანილი ქალი გაენთავისუფლებინა: გახარებულ ქალს მარჯვენა მკლავზე ეკოცნა თადიაურისთვის, თადიაურის ხმლით მოეჭრა ოქროსფერი თმის დალალი და და-ძმობის ნიშნად მიეცა ვაჟკაცისთვის და თენების ჟამს გასდგომოდა საფშაო გზას.

— აი დალალი! — თადიაურმა ლეგა შალის ჩოხას გადასწია, მარცხენა მხარზე ეკერა ოქროსფერი თმა ქალისა.

ქეთევანმა სიმამაცე შეუქო, ლეკების ხელების ნახვა მოიწადინა და ნაზი თითები მოუჭირა თადიაურის მარჯვენას. თადიაური სიამემ შეაჟრჟოლა, თანაც გაიფიქრა: „თუ ხვალაც ამ ხელმა ასეთი სიამე მაგრძნობინა, ფშავის ბატონი გავხდები"... ერთხანს ქალთან ილაღობა, შემდეგ ხმალი წაეჯიბრა, ქერა ყმაწვილს ელვის სისწრაფით რომ უქნევდა დამნას და გულმშვიდად დაელოდინა დილას.

გრძელ სადილობის ჟამს შავი ცხენოსანი შემოეფარა ბოროლას გორის ბოლოს, სწრაფად ამოირბინა აღმართი და პირდაპირ თადიაურის კოშკის კარს მიაშურა. შედგა. ცხენიდან არ ჩამომხტარა, მხოლოდ ჯაჭვის პირსაფარი ასწია და წინ შემოგებებულს შეხედა მწყრალად.

— ღერენა!..—ჩაილაპარაკა თადიაურმა, წვერ-ულვაში აეშალა სიმწარით, უნებურად გაიწია ხელმა ხმლის ვადისკენ.

დინჯად ჩაიარა ქვის კიბე ჯაჭვ-იარაღით მოსილმა, ოთხი მოხუცი ფშაველი მიჰყვებოდა მხრისა-მხრის, მოსულის წინ შედგნენ მწყრალად და ერთმა მათგანმა ჟრიალა ხმით იკითხა მოსვლის მიზეზი.

— თადიაურს უნდა ვებრძოლო, ასეთია წადილი თორღვაისა!—ამაყად განაცხადა ღერენამ და დინჯად დაუმატა:—ვისი ხმალიც გაიმარჯვებს, ფშავეთის ბეგარი იმისი იქნებისავ, თორღვამ!

— თორღვას რა ესაქმების ჩვენთან?

— ხმალი!

თადიაურმა ბრძოლის წინ დრო იხელთა: ჩუმად რაღაცა წასჩურჩულა ლეგა წოწკურაულს. ლეგა ჯერ სხარტად დარჩა, შემდეგ ხალხში გაძვრა და კოშკის მეორე სართულზე აჟიდა მშვილდისრით ხელში. ზევიდან დაჰყურებდა ვაჟკაცების ხმლით გათამაშებას: ცქმუტავდა ღერენა, უხედნი კვიცივით ხტებოდა მახვილის ხმაურზე, — ხოლო თადიაური დინჯად ზვერავდა მანძილს, მოზომილად იქნევდა ხმალს. წკრიალებდნენ ფრანგულები, ხანდისხან ჩაჩქანმა დაიწკაპუნის, ცეცხლის ბურჯღუმი გაშალის ფარის ვირგოლმა, ნელია ხმით წაიგმინიან ვაჟკაცებმა... წაიჯალდა ღერენა: უკან-უკან დაიწყო დგომა. ფარს ფარობდა, ხმლის საქნევი დრო არ რჩებოდა თორღვაის ნაწუთნს. ბოლოს წაიკივლა, არწივი თუ აფრინდაო მშვილდი, ელვასავით დაგელდა მისი ხმლის ელვარება, ხვთისგან წყეულმა დრო უხელთა თადიაურს—სამკლავის თავს შეაპარა გორდას ფხა: მარჯვენა ხელი დაუზიანა... ხარივით დაიგმინა თადიაურმა — გულმა მარცხი აუწყა, ღონე დაელია, ხმალი ველარ იხმარა, და კვლავ მაგარი დარტყმისაგან წაყირავდა. სისხლმა შეუღება ტანზე ნაცვამი ჯაჭვი, მხარმოტეხილი არწივით წაბარბაცდა... დაეცა.

აღარ მიეძალა ღერენა: ზურგიდან ჭრილობის დამართვა არ ინება, პირ-ოფლიანი შებრუნდა ხალხისკენ და სწორეთ ამ დროს შვილდის გოზამ დასჭექა კოშკში, ისარმა ჩაჩქანი შეუღეწა ღერენას, ვერაფერი ავნო: გადატყდა შუაზე. ღერენამ ცხენისკენ დაიწია, სწრაფად მოახტა. შეჯდომის უმალ სიმწვავე იგრძნო მარჯვენა ბეჭზე: ფრთეთეთრმა ძარმა სისხლი გაისხლიტა ყიაზე, მაგრამ შავრა საფეხე მოსწყდა ადგილს. ფეხმარდი ცხენი მიმინოს სისწრაფით შეჰყვა ბილიკს, იპატია მხედარი...

ელვამ გადაიარა მათურის თავზე და შავი ღრუბელი აიცრემლა. წვიმდა. დაჭრილი ვაჟკაცივით აგმინდნენ მთა-გორები. ყორანი სისხლის ხმაზე აყეფდა შორს და ჰხრებ-დაშლილი ჩაჰყვა შენისლულ გორებს.

თორღვას კოშკში დუმილი იყო გამეფებული—მარტოდ იჯდა თორღვა, ღერენას ჭრილობიდან ამოღებულ ისრის ზროს ატრიალებდა ხელში. ზროს წვრილი ასოებით ეწერა: „მისრელი".

— რა იქნების? — ჰკვირობდა თორღვა.

ფოლადის სიმაგრეს სცდიდა: არაფერი ეკარებოდა სისვ რკინას, მხოლოდ თავად მეხივით გადიოდა ყველაფერში. იდუმალებამ შეაკრთო თორღვა. თავდახრილი წამოდგა, ზრო ქვიტკირის შუკუნში შეინახა, მეორე სართულში ჩახდა.

დუმილი სუფევდა ნახევრად განათებულ სამყოფში. ოდნავი კვნესა ისმოდა: ღერენა ებრძოდა სიკვდილს — ნაისრალი გაავებოდა, ბალღამი სდიოდა, გველის დანაგესლივით დალურჯებოდა ტანი. ბელჰანა ადგა თავზე, ნაღვლიანი თვალებით დაჰყურებდა მწუხარე ვაჟკაცს, მის მარჯვენას ეალერსებოდა. გულს უამბობდა ქალის ალერსი ავადმყოფს და გატეხილი ხმით იტყოდა ხანდიხან:

— ვკვდები... ბელჰანასთან სიცოცხლე...

დუმილს ეძლეოდნენ იქ მყოფნი და კედლები, შავი კედლები ქვიტკირისა. ესლა აიმედებდათ: თადიაურის სიკვდილის ამბავი მოეტანა მტყობიფს, თანაც ფშავლები ლაშარის ჯვარში იწვეცდნენ თორღვას, თილისძეც გვესტუმრებაო, დაება-

ეროვნული

შეხვედრა*

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

შორიდანვე შენიშნა ხიშტების ლაპლაპა მესერი. ცოტა რომ დაივაკა, სამი სახრჩობელაც გამოჩნდა. სახრჩობელების გარშემო ნეხვი ეყარა და საქონლის ნაღეჭი ჩალაბულა.

ბრბოს გამოუცნობელი ბუბუნი ხან მიწყდებოდა, ხან მოძალდებოდა: შორეულ ზვირთცემას ჰგავდა. გზირებმა ცისა და ქვეყნის ხალხი მორეკეს ქალაქში. საშინელი ზედახოცვა იყო.

ჯარის უკან გლეხები იდგნენ. სული ვერ მოეთქვათ, ისე მისრესოდნენ ერთმანეთს. სდუმდნენ, როგორც საყდარში.

ჭაბუკმა პარკი შეისწორა. ხალხის გასარღვევად იდაყვები მოიმარჯვა, როგორც ბაზრობაზე სჩვევოდა. მაგრამ მიეძალა თუარა, გლეხები გზიდან მორჩილად ჩამოდგნენ. ეტყობოდა, ამ უბედურებს სახრჩობელასთან ახლო დგომა არ იზიდავდა.

ციხის ფერდობზე სადარობა იგრძნობოდა. ჭაბუკიც იქით მიეტანა. ღორღოვან აღმართზე ფეხი უსხლტებოდა. „ჰეი, ჰეი!“—უყვიროდნენ ქვევიდან და თავქვე დაქანებულ ღორღის ნამსხვრევს განზე უხტებოდნენ. ფერდობზე ბაზრის ბიჭბუჭები ლაზღანდარობდნენ. ღობეზე ყორჩებივით შემდგარიყვნენ დოშლულიან ახალოხში გამოჯგიმული სოვდაგრები.

თავმორღვეულ კოშკთან შეისვენა. კოშკის გადაღმა ხელიხელ ჩაკიდებული ბავშვები გამოჩნდნენ. თხაწვერა კაცი მოუძღვებოდა, საზეიმო მუნდირში გამოწყობილი. ჯიბის-პირში დაშნა ჩაება, იღლიაში სკამჯოხი ამოედო და ისე ქშინავდა, თითქოს სული მთავარი ეპარებოდა.

ბავშვები მხიარულად მოტატანებდნენ. ასე ეგონათ, მოვიდოდნენ თუარა, თეჯირიდან „პეტრუშკა“ ამოხტებოდა და ყველას სიცილით დახოცავდა.

გორის სასულიერო სკოლის შეგირდები იყვნენ. სკოლის ზედამხედველმა პატარებიც არ დაინდო... ბავშვების გულში შიში და მორიდება უნდა ჩაენერგა.

ბავშვების დანახვაზე უცნობმა წარბი შეჰყარა. დაწინაურებულ შეგირდს მიაჩერდა. ათი-თორმეტი წლისა იქნებოდა. წვეთი რომ მოსწყდება ვერცხლისწყალს, ისე სწრაფად და შეუმჩნევლად უკანა ზედამხედველს. ერთი სული ჰქონდა, სანამ კოშკთან მოაღწევდა. მალიმალ უკან იხედებოდა, ეშინოდა, მოედანზე უჩემოდ არაფერი მოხდესო.

ეშხიანი ბიჭი იყო, თვალციმციმა, თითქოს სიზმარში კეთილ ზმანებას უღიმოდა. კოხტად მორგებული ჩექმები ეცვა. შუბლზე ჯიუტი ქოჩორი ჩამოშლოდა.

ზედამხედველმა შეგირდები კოშკთან შეაქუჩა. სკამჯოხის გაშლა ვერ მოასწრო—კონკებ-ძლარუნა მაწანწალა მიუტოლდა. „დათბა და სლოლდნენ ოხრები!“ — ჩაიბურდღუნა ზედამხედველმა, შავი ფული ამოიღო და... მოწყალების მისაცემად გაწვდილი ხელი ჰაერში გაუშეშდა.

არა, მოწყალებას არ ითხოვდა ჭაბუკის გამჭვალავი, ფარული ზვიადობით აღსავსე გამოხედვა.

ზედამხედველს გული მოუვიდა.

— რას მიბრძანებთ? —მიზეზიანად ჰკითხა და ჩამოჯდა.

— ცოდონი არიან, ნუ აყურებინებთ —წყნარად მიუგო ჭაბუკმა.

— რა-ო!

თავი ჩაღუნა და კადნიერ უცნობს სათვალეებს ზემოდან ახედა. მერე თავაზიანად გაიკრიჭა.

— ბუნტოვშიკობ? შენც გასანთლული თოკი მოგენატრა?!

— წაიყვანეთ, ბავშვებს სიცოცხლეს ნუ მოუწამლავთ! — მკაცრად მოუჭრა უცნობმა.

— შენ ვისი რა აგდიხარ! როგორ ბედავ... მე შენ ეხლავე...

წამოიჭრა. ღორსავით წვრილი თვალები უფრო დაუწვრილდა. უძალო ხელები მომუშტა. სასაცილო გახდა, რადგან კრუხის პალოსავით დაბალი იყო და მუშტებიც ნამლევა კვერცხივით პატარა ჰქონდა.

„მოჰყავთ!“ — იყვირა ვიღამაც ბაზრის ხალხი კოშკთან მოზღვავდა. ზედამხედველი განზე მიაგდეს, შეგირდებიც უმალვე გაიფანტნენ...

კარგი დღე იყო. მტკვრის ტალღებს სველი მიწისა და ნესტიანი ტყეების სუნი ასდიოდა,—იმდენად უხვი და ძლიერი, რომ ყვავილთა სურნელებაც დაეხშო.

დროდადრო ბაღებში პატარა ტოტები შეკრთებოდნენ ანაზდად, თითქოს ნიავმა შეაღვიძაო, მაგრამ ნიავი არ იყო: შეხურებული კვირტები სკდებოდენ და ტოტებს მათი გასკდომის ძალა არხევდა.

მშვიდი და კამკამა ლაჟვარდი დაჰხაროდა გორისციხეს. კაცი ვერ იფიქრებდა, თუ ოდესმე ავდარი მოვიდოდა. უხვად აყვავებული ნუში და ფშატი ოცნებასავით მოსდებოდა მტკვრის პირებს. ჩალისფერ კედლებზე ადრეული გაზაფხულის ნათელი ჩრდილები ცახცახებდნენ.

კედელთან მიჭყლეტილ უცნობს ქუდზე ბიჭი ეყრებოდა: ქოჩორა ბიჭუნა კედელს ფხიკავდა, ფეხი ვერ მოეკიდნა. მერე იმარჯვა და კოშკიდან ჩამობარდნილ ხეშავას ტოტი მოჰხელა, მაღლა აცოცდა. მუხლისთავები დაიფერთხა, გაიმართა და აყვავებული ტოტივით გაუცინა ქვეყანას...

ამდენ ხალხში განა მართლა კაცებს ჩამოახრჩობენ! სული სხეულს როგორ გაეყრებოდა, როცა გარშემო ასეთი ბრწყინვალე გაზაფხული ბობოქრობდა.

გულისმომწყვლელ დუმილში ბორკილების ჩხარუნი შემოიჭრა. ყრუდ ისმოდა, გამოუცნობლად, როგორც გამოუტანელ სიზმარში,—და გორისციხეც ისე გაინაბა, მწყერი რომ გაინაბება, როცა ქორის ჩრდილი თავზე გადაუვლის.

ჩხარუნი გაძლიერდა. ერთი ბათმანი რკინის ხმაური ქვეყანას აყრუებდა.

მოსახვევში წითელხალათიანი კაცი გამოჩნდა.

— ჩაჰქრი! — იწივლა ჭაბუკის გვერდით მიყუჟულმა დედაკაცმა და თვალებზე თავშალი ჩამოიფარა.

წითელი ხალათი მუხლამდე სწვდებოდა ჯალათს. წელზე უბრალო თოკი შემოერტყა: ახალი ჩექმები ჩაეცვა, გარმონივით დაკეცილი შავი სანდალოზის ყელები თვალისმომჭრელად ელვარებდნენ.

მარჯვენა ფეხზე კოჭლობდა: ლურსმანი ჩხვლეტდა, ჩექმაში ამოჩრილი. წაიკოჭლებდა და ისე ბრაზიანად მოუხედავდა ნელა მომავალ სიკვდილ-მისჯილებს, თითქოს მათი შეკერილი ფეხსაცმელი ეცვა.

ბორკილ-გაყრილი გლეხები დაწალიკვებით მილასლასებდნენ.

პირველი — სანდრო ხუბულური იყო, მაღალი, ბეჭებში ლაღად გაშლილი დევკაცი.

კოხტად მოთელილი თეთრი ბატკნის ტყავი ემოსა: განიერი ყარაბაღული შარვალი მაღალ-ყელიან წინდებში ჩაეტანა.

ყინჩად მოაბიჯებდა. ერთი ადლით მაღლა დადიოდა მიწაზე.

შეუპოვარი შუბლი, რიყისქვასავით მკვრივი და ფართო ლაწვები ხუბულურის გაუტეხელ მხნეობას ამჟღავნებდა. მართლაც, ქაჯის სული უნდა სდგომოდა კაციშვილს, რომ ასე უშფოთველად გაევლო რამდენიმე უკანასკნელი ნაბიჯი, რომლის მერე მისი ფეხის ხმაც სამუდამოდ მოიშლებოდა.

მოფარდაგებულ ბანზე ფეხმორთხმულ ქალებს რომ გადახედა, ხუმრობის გუნებაზე მოვიდა.

ბანჯგვლიანი თავი სახრჩობელასკენ გაიქნია და დასძახა:

— გოგოებო, თქვე გასაწყვეტებო, ლეკურის საცეკვაოდ მივდივარ, არ გამომყვებით?

— ვაი შენს დედას უბედურს!— ჩამოსძახა ერთმა.

— რათა, გულოჯან, რათა! დედაჩემს რა უჭირს! შენმა დედამ იკითხოს, რომ ჩემისთანა სიძე-ბიჭი ეკარგება!—მიაგება ხუბულურმა.

ღიმილში ჩაუდნა სიკვდილთან შერიგებული თვალები.

მერე ვიღაც კეხურა ვაშლივით ლოყებღაჟღაჟა ვაჭარს გაეხუმრა: დროშკის კოფოზე იდგა. ვერცხლის კოპლებიან ქამარში ბეჭდიანი ცერები გაეყარა და თვალს წყალს ალევინებდა.

— ფირან-ჯან! — დამარცვლა ხუბულურმა: — მალე მომაკითხე, ჰო... ვალსაც და ვახშსაც ერთად დაგახვედრებ!

ვაჭარი პირველად შეცბა, თავს მალე მოეგო და ჩაიხლიჩინა:

— არა უშავს-რა, სანდრო-ჯან, მამაჩემს ნახავ და იმას გადაეც.

—ვაჰ, შე რჯულძაღლო, შენა! ე რა გულკეთილი გამხდარხარ! — ისე გულწრფელად შეიკვირვა ხუბულურმა, რომ პირაქშულ გლეხებსაც გაეცინათ.

კიდევ ეცადა რაღაც ეთქვა, მაგრამ მებადრაგემ კონდახი მოუღირა. მასაც რა ძალა ჰქონდა,—წყნარად შეიგინა და გაჩუმდა.

მოედანს რომ მიაღწია, მოუსვენრობა დაეტყო. გამალებით აფათურებდა თვალებს ჯარისკაცების კედელს გადაღმა. ვის ეძებდა, ვისთვის უნდოდა უკანასკნელი გამოხედვა დაეტოვებინა?

ტატე ჯიოშვილიც ორმაგად ნაქსოვი ვაჟკაცი სჩანდა. უძილო ღამეებს მაგრა გაელახა. თვალები ჩაცვენოდა, გამხდარიყო, — მიხვრა-მოხვრა ძონძივით მოდუნებოდა, ძირგავარდნილი ქალამნები ეცვა. ნაკვალევზე თივა რჩებოდა.

ალისფერი თავი მზესუმზირას თაველივით ჩაექინდრა, ბორკილი მაღლა აეზიდა, რომ ნაკლებ ეჩხარუნა.

ხალხი რომ დაინახა, წელში გასწორდა, მაგრამ ნებაწართმეული სხეული ბოლომდე ველარ დაიმორჩილა და ისევ მოეშვა. ქუჩაზე ხმა არ ამოუღია. მხოლოდ ერთხელ, ხუბულური ქალებს რომ გაეხუმრა, თავი აიღო და ნაწამებ პირისახეს უსიცოცხლო ღიმილი გამოსწურა.

მესამე...

საიდან გაჩნდა იგი?!

წინადღით გამოსულ გაზეთებში მხოლოდ ორი „ყაჩაღის“ დახრჩობა იყო გამოცხადებული, დურგლებსაც ორი სახრჩობელის აგებას გაურიგდნენ. რა მოხდა წუხელ?

კერაგაციებულ გლეხობას თვალი ტყისკენ ეჭირა. შელერებული ბიჭები ღამღამობით ბერდანებს ზეთავდნენ, ხეთა შეფოთვლას ელოდნენ,— და მაზრის უფროსმაც მუზუზალივით შავი სახრჩობელები აღმართა გორში ურჩების დასაშინებლად.

სახრჩობელები აღმართა და კაცთმოყვარეობის ანგელოზიც გვერდით ამოუყენა: ხალხის დამამშვიდებელი მალამო შეამზადა.

წუხელ ციხეში განმარტოებული პატიმარი, ქურდბაცაცა ხასიშვილი ინახულა. ბორკილების მოხსნა და საერთო საკანში გადაყვანა აღუთქვა, თუ არ დაიზარებდა და ხვალ შუადღისას ციხიდან სახრჩობელამდე გაისეირნებდა.

„დეპეშას წავიკითხავთ, ვითომ დახრჩობა გადასახლებად შეგეცვალა და მაშინვე ციხეში დაგაბრუნებთო“, — არწმუნებდა მაზრის უფროსი პირველად, ცოტა არ იყოს, დაეჭვებულ ხასიშვილს.

განმარტოებული საკანი საფლავივით ბნელი იყო და ვიწრო. ხასიშვილიც მალე გატყდა.

მაზრის უფროსმა მოედანზე ერთი ურემი ხეტყე კიდევ გაგზავნა.

და, აი, ფეხშიშველა ქურდი თავმომწონედ მოაჩხარუნებდა ბორკილს, — როგორც ახალგაზრდა ჰუსარები დეზებს აწკრიალებენ ალლუმზე გავლისას.

ტუსაღებს თორმეტი ჯარისკაცი ბადრაგობდა. შემდეგ დარბაისლად მოწყენილი მეფის სამსახურის კაცები მიდიოდნენ.

პატარა ქუჩა სწრაფად გალიეს და სახრჩობელებთან შესდგნენ.

ჯალათი მაშინვე ტაბურეტზე ჩამოჯდა. მარჯვენა ფეხზე გაიხადა, ჩექმის ყელში ხელი ჩაჰყო და ლურსმანი მოსინჯა.

მჭედელს დაუძახეს ბორკილების შესახსნელად.

ტატე ჯიოშვილმა წყალი მოითხოვა. სავსე კარდალა მიაწოდეს. ცოტა მოსვა, დანარჩენი თავზე გადაივლო. მერე უფროსს ძმასთან გამოთხოვება მოისურვა. ესეც შეუსრულეს. პოლიციელმა მოედანზე შავჩოხიანი ვაჟკაცი შემოიყვანა. გულდასმით გაჩხრიკა და ძმისაკენ გაუშვა.

შავჩოხიანს ცრემლი ახრჩობდა.

გამაგრდი, ბიჭო, არ გამაფუჭო! — დაუყვირა ბორკილ-შეხსნილმა ტატემ და ახლად დაჭედილი ხარივით ნაბიჯი ფრთხილად გადადგა.

უფროსმა ძმამ გულში ადუღებულ სიმწარეს თავი ველარ მოუკრა: ქვითინი წასკდა.

ტატე ჯიოშვილი გაფითრდა, ძმას ზურგი შეაქცია... უეცრად გასწორდა, ჩახმახივით წკიპზე შემართა: ჯალათი დაინახა, ჩექმაში ლურსმანს რომ აჭედდა.

გაექანა და ჯალათს ყურისძირში სთხლიშა. მერე ტაბურეტზე შეხტა, „ჰაი დედასა-გორისასა!“ — წამოიძახა, აპეურს შეჩვეული ხელით მარყუჟი შეასწორა და კისერზე ჩამოიცვა.

— მშვიდობით ტატე! — ამოიგმინა შავჩოხიანმა.

— ნახვამდის ტატე-ჯან! — მიაძახა ხუბულურმა.

მიწაზე გაშოტილი ჯალათი წყევლა-კრულვით წამოიჭრა. სულმობრძავ ჯიოშვილს ფეხებზე ხელი მოჰხვია და ჩამოეკიდა. გლეხებს თავზარი დაეცათ, თითქოს საფლავში გაღვიძათო.

და იმავ წამში თავმორღვეულ კოშკიდან მუდარით აღსავსე ჩურჩული გაისმა

— ჩამომსვი, ძია კაცო!

ქოჩორა შეგირდი აცახცახებულ ხელებს იშვერდა.

უცნობმა ხელი მიაგება.

ჩამოიყვანა.

აგურივით მძიმე, ხაოიანი ხელისგული თავზე გადაუსვა და თვალებში ჩახედა.

მისმა გამოხედვამ უცნობი შეაკრთო: ბიჭუნას თვალებში ბავშვობა თავდებოდა.

◆

მტკვრის პირად, ძეწნას კარავში შებუდრულ ჭაბუკს მუხლებზე რვეული გაეშალა... სწერდა.

დილა სავსე იყო ყვავილთა თბილი სურნელებით, ძეწნას ტოტები წყალში ჩაეკიდა, — სინჯავდა, ცივი იყო თუ არა. დაბმული ტივები დგაფუნობდნენ, ნაპირს ფხოკავდნენ.

ხანდახან ჭაბუკი თვალწასულივით გამტერდებოდა და უმალვე გორისციხეზე დაცემულ ნისლში ხუბულურის ბანჯგვლიანი თავი შეირხეოდა.

მეტივემ უამბო წუხელ: შარშან ხუბულურმა მისდა-საუბედუროდ თავადი მაჩაბელი დაჯაბნა როკისციხესთან გამართულ დოღში. ბევრი უკიჟინა მაჩაბელმა თავის განთქმულ ულაყს, ბევრიც ემუდარა..., მაინც ჩამორჩა: ხუბულურის ცხენის კუდი სულ თვალებში ებლანდებოდა ამპარტავან თავადს.

ჯავრი იყარა: მეორე დღესვე გლეხბიჭს საცოლე მოსტაცა და ნამუსი შეუგინა. გულდაწყვეტილმა ხუბულურმა კავის ერქვანს ხელი გაუშვა, თავქეიფა თავადს სიცოცხლე მოუსწრაფა და ტყეში გავიდა.

სამი საბოქაულო დაედევნა. სოფლებს ალყა შემოარტყეს, გზებიც ისე შეჰკრეს, — დაბლა გველი ვერ გაძვრებოდა, მაღლა ჩიტი ვერ გადაფრინდებოდა... ხუბულური ელვასავით მოუხელთებელი აღმოჩნდა.

დაძმარებულმა მაზრის უფროსმა ნაცადი ხერხი გაიხსენა: ცრემლად დამდნარი, ნამუს ახდილი ქალი ციხეში გამოკეტა იმ იმედით, რომ აქაური გლეხის რაინდული მოკრძალება და სიყვარული ქალისადმი თავზეხელაღებულ ყაჩაღსაც ტყიდან გამოიტყუებდა.

ასეც მოხდა.

ხუბულური დანებდა მაზრის უფროსს, რათა წამებული ქალი ციხიდან დაეხსნა.

რა ვაჟკაცურად მოკვდა!

მშვიდად, აუჩქარებლად ავიდა ეშაფოტზე, როგორც დაღლილი მუშაკაცი თავის სახლის კიბეზე ადის, —და როცა ჯალათი ტომრის ჩამოსაცმელად მიუახლოვდა, ხუბულურმა ისე ჩუმად ჩაიცინა ულვაშებში, თითქოს მთელი ამ ხალხის, მთელი ქვეყნის რაღაც სამარცხვინო საიდუმლოება იცოდა.

და ჭაბუკიც სწერდა... ადიდებდა იმ უკვდავ გრძნობას, რომელიც სიკვდილზედ ძლიერი იყო.

კარგად რომ მოთენდა, მტკვრის პირას შეგირდებმა ჩაიარეს. ჭაბუკმა თვალი მოატანა ნაცნობ ქოჩორს.

„ჩამომსვი, ძიაკაცო!“ — ხელახლა მოესმა თითქოს.

რას იფიქრებდა მაშინ უგზოუკვლოდ მოხეტიალე რუსი, რომ ეს ქოჩორა ბიჭი, ორმოცი გრძელი წელიწადი რომ გაივლიდა, ასე წააწერდა ამ დილით დაბადებულ სტრიქონებს:

„ეს ნაწარმოები უფრო ძლიერია, ვიდრე გოეთეს „ფაუსტი“. სიკვდილს ამარცხებს სიყვარული. **ი. სტალინი**“.

---

*) დასასრული. დასაწყისი იხილე „ლიტერატურული საქართველო“ № 8 (131).

ალიო მაშაშვილის შემოქმედებითი საღამო სვანეთში

25 ივლისს ზემო-სვანეთის რაიონულ ცენტრში, დაბა მესტიაში გაიმართა ორდენოსანი პოეტის ალიო მაშაშვილისადმი მიძღვნილი შეხვედრა-საღამო, რომელსაც უამრავი ხალხი დაესწრო; საღამო გახსნა საქ. კ. პ. (ბ) ზემო-სვანეთის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. ფალიანმა, რომელიც მხურვალედ მიესალმა ამხ. მაშაშვილს. პოეტის შემოქმედებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. მ. ქალდანმა. მოხსენების შემდეგ პოეტის შემოქმედების შესახებ სიტყვებით გამოვიდნენ: მ. ჩართოლანი, ნ. გუჯეჯიანი, ვ. მარგიანი, და სხვ. პოეტისადმი მიძღვნილი ლექსები წარმოსთქვეს ხალხურმა მთქმელებმა ს. გულედანმა, ნ. ნიგურიანმა და ღარიბაშვილმა.

საღამოზე ლექსები წაიკითხეს პოეტებმა რევაზ მარგიანმა და ვლადიმერ უბილავამ, პირველი განყოფილების დასასრულს გამოვიდა ალიო მაშაშვილი, რომელმაც დამსწრეებს სიტყვით მიმართა და წაიკითხა თავისი ლექსები: „დაბადება“, „სამშობლო ბელადისა“, „ჰიმნი სამშობლოს“ და სხვ.

საღამოს მეორე განყოფილებაში გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს რაიონული თეატრის მსახიობებმა და სვანურმა ეთნოგრაფიულმა გუნდმა.

წიგნი ქართული თეატრის ისტორიაზე

ქართული თეატრის ისტორიის მასალები გაბნეულია სხვადასხვა ჟურნალ - გაზეთებში ან და წარმოდგენილია ცალკეულ პირთა მოგონებების სახით. არსებობს აგრეთვე ზოგიერთ მსახიობებზე ცალკე ნარკვევებიც, მაგრამ ქართულ თეატრის ისტორიის შესახებ კაპიტალური ნაშრომი არ მოიპოვება. ამ ხარვეზის ამოვსება განიზრახა თეატრალურ მუზეუმის მეცნიერულ მუშაკთა კოლექტივმა, რომელიც ამ მოკლე ხანში დაასრულებს ნაშრომს „ნარკვევები ქართულ თეატრის ისტორიიდან“. წიგნი შეიცავს ქართულ თეატრის ისტორიას უძველეს დროიდან საბჭოთა ეპოქამდე. წიგნი დაყოფილია შემდეგ თავებად: თეატრი საქართველოში მეთვრამეტე საუკუნემდე, მეთვრამეტე საუკუნეში, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში და მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, თეატრი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე.

წიგნის შედგენაზე მუშაობენ ვ. ბუხნიკაშვილი, ს. გერსამია, დ. ჯანელიძე, მ. თუმანოვი და ა. ფაღავა.

წიგნი გამოვა ქართულ და რუსულ ენებზე ლ. ისაკიას რედაქციითა და შ. დადიანის წინასიტყვაობით.

რუსულ ენაზე წიგნს გამოსცემს გამომცემლობა „ისკუსტვო“.

მაიაკოვსკის სახლი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა მაიაკოვსკში (ყოფ. ბაღდათი) შეიძინა სახლი, სადაც დაიბადა საბჭოთა ეპოქის უშესანიშნავესი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი. სახლი რესტავრირებულ იქნება, რის შემდეგ იქ გაიხსნება პოეტის სახელობის მუზეუმი.

„ლიტერატურული წრეები და სალონები“

საბლიტგამმა გამოსცა იაკობ ბალახაშვილის დოკუმენტალური ნარკვევი „ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში“ (მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში).

წიგნი შეიცავს შემდეგ თავებს: რამდენიმე სიტყვა წინასწარ, შინაური წარმოდგენები თბილისში პ. ი. კოვალენსკის ინიციატივით, თბილისის „კეთილშობილთა სასწავლებლის“ საჯარო აქტები, გურიის უკანასკნელი მთავრის სალონი, ლიტერატურული შეკრებანი ა. პ. ერმოლოვთან, თბილისში გადმოსახლებულ დეკაბრისტთა ლიტერატურული წრე, ლიტერატურული ნადიმი ორთაჭალის ბაღში ა. ს. პუშკინის პატივსაცემად, ლიტერატურული ლხინი კახეთში ა. ს. პუშკინის მასპინძლობით, ა. ს. პუშკინი „ტიფლისკი ვედომოსტი“-ს რედაქციაში, ლიტერატურული შეკრებანი გრიგოლ ორბელიანთან, სოლომონ დოდაშვილის ლიტერატურული წრე, რ. ი. ბაგრატიონის სალონი, ვახტანგ ორბელიანის ლიტერატურული წრე, ლიტერატურული სადილი ელიზბარ ერისთავთან, ელისაბედ როზენის სალონი, თბილისის პირველი გიმნაზიის მოწაფეთა ლიტერატურული წრე, ბალი თბილისში 1837 წლის 10 ოქტომბერს, მარიამ ორბელიანის სალონი, ლიტერატურული შეკრებანი ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონი, პირველი საბიბლიოთეკო ამხანაგობა თბილისში, მანანა ორბელიანის სალონი, ელისაბედ ვორონცოვას სალონი, გიორგი ერისთავის კომედია „გაყრის“ პირველი წარმოდგენა, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის სალონი, წყაროების მაჩვენებელი.

წიგნში 240 გვერდია, ჩასმულია ლიდერინის ყდაში და ღირს 8 მანეთად.

კონკურსი საუკეთესო პიესაზე

კარგა ხანია გამოცხადდა საკავშირო კონკურსი საუკეთესო პიესაზე. კონკურსის პირველი ტური ტარდება რესპუბლიკებში. საქართველოში კონკურსი დაგვიანებით გამოცხადდა. ამან რა თქმა უნდა ხელი შეუშალა კონკურსის ნორმალურ მიმდინარეობას. დღემდე საორგანიზაციო კომიტეტში წარდგენილია 30 პიესა, რომელთა უმრავლესობა კონკურსის პირობებს ვერ უპასუხებენ. მრავალ დრამატურგს პიესა დაწყებული აქვს, მაგრამ მათ დაწესებულ ვადამდე (1 სექტემბერი) ვერ აბარებენ. გამოითქვა სურვილი კონკურსის 1 ოქტომბრამდე გაგრძელებისათვის. კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის წინაშე, რათა კონკურსი საუკეთესო პიესაზე საქართველოში გაგრძელებულ იქნეს 1 ოქტომბრამდე. კომიტეტმა უკვე მიიღო დასტური.

კონსტანტინე გამსახურდიას ახალი რომანი

დიმიტრი ბენაშვილი

კონსტანტინე გამსახურდიას ტრილოგიად განზრახული რომანის „ბელადის“ პირველი ნაწილი შემოფარგლულია დიდი **სტალინის** ბავშვობისა და ყრმობის წლებით. ამ თემის დამუშავების დროს ავტორის წინაშე მეტად რთული და პასუხსაგები ამოცანა იყო დასმული. მწერალს საბჭოთა მკითხველის თვალწინ უნდა გადაეშალა გრანდიოზული მხატვრული პანორამა სტალინის ბავშვობისა და ყრმობის ფრიად ლამაზი, მიმზიდველი დღეებისა.

ბელეტრისტიკაში ამ თემას ჯერ არც ერთი მწერალი არ შეხებია. არ მოგვეპოვება პროზაული წინამძღვრები, რომლებიც დაეხმარებოდნენ „ბელადის“ ავტორს თემის მხატვრულად დამუშავების დროს. ამ მხრივ კონსტანტინე გამსახურდიას სრულიად უვალ გზაზე უხდებოდა სიარული, აქაა სიძნელე და სირთულე სიტყვის ოსტატის პასუხისმგებლობის გრძნობისა, აქაა მოკრძალებისა და რაინდული გამბედაობის ძნელად გადასალახავი მიჯნა.

პირველი კითხვა, რომელიც უნდა დაისვას კონსტანტინე გამსახურდიას „ბელადის“ განხილვის დროს, არის შემდეგი ხასიათის: რამდენად მოახერხა ავტორმა დიდი ისტორიული ადამიანის ბავშვობისა და ყრმობის ასაკის სულიერი სამყაროს მხატვრულად სრულქმნილი გამოსახვა? შესძლო თუ არა მწერალმა, ფოტოგრაფიული პორტრეტის ნაცვლად, დიდი მომავლის მქონე ბავშვის ძლიერი სულის აღბეჭდვა სრულყოფილ მხატვრულ ფერებში?

გამოჩენილი გერმანელი პოეტი ჰენრიხ ჰეინე ოდესღაც სწერდა: „ჩემი ცხოვრების მანძილზე არა ერთხელ მიფიქრია დიდ ადამიანებზე, განსაკუთრებით იმ ადამიანებზე, რომლებიც არა მარტო დაღს ასვამდნენ დროს, არამედ ქმნიდნენ კიდეც ახალ ეპოქებს. ყოველთვის, როცა კი მათზე ლექსების წერას შევუდგებოდი, ჩემდა უნებურად ვგრძნობდი მათდამი არა მარტო მოკრძალებას, არამედ შიშსაც. მე ვცდილობდი მათი სულის გამოსახვას, სამწუხაროდ, მხოლოდ პორტრეტი გამომდიოდა, პორტრეტი, რომელსაც ჩემდა დამოუკიდებლად, მთელი მსოფლიო იცნობდა. დამწუხარებული ვტოვებდი სამწერლო მაგიდას და ისევ ოცნებას ავედევნებოდი. სიტყვაში ვერ ჩავტიე დიდი ადამიანის სული. მე უძლურებას ვგრძნობდი ჩემი თავის წინაშე. დიდება იმათ, რომლებსაც ძალა ეყოფათ ამ საქმის აღსასრულებლად!“ ჰენრიხ ჰეინეს ეს მოსაზრება ორგანიულად არის დაკავშირებული პასუხისმგებლობის გრძნობასთან, რომელსაც იწვევს სიტყვის ოსტატის შეგნებაში დიდ ისტორიული ადამიანების ცხოვრების თემაზე მუშაობა. თუ კი ჰეინე, გერმანული სიტყვის ეს უშესანიშნავესი მესაიდუმლე, ასე დიდ მოკრძალებას იჩენდა დიდ პიროვნებათადმი, ცხადია, სიტყვის ოსტატის პასუხისმგებლობისა და მოკრძალების გრძნობა უსაზღვროდ იზრდება, როდესაც საქმე ეხება პროგრესიული კაცობრიობის ბელადს, ადამიანთა ახალი ისტორიის დამწყებს, დიდ სტალინს.

ბავშვობისა და ყრმობის პირველ გარიჟრაჟზე ახალგაზრდა სოსო ჯუღაშვილში იმანენტურად იყო მოცემული დიდი მომავლის მქონე ძლიერი სული. აი, ამ სულის სრულქმნილი გამოსახვა წარმოადგენდა კონსტანტინე გამსახურდიას რომანის ამოცანას.

როგორც ცნობილია, ადამიანის სულის გამოსახვისათვის მწერლის ხელთ არის სიტყვა, როგორც სამშენებლო მასალა. სიტყვაში უნდა გაცხადდეს ტიპი, როგორც ცოცხალი სახე. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ განსახილველ რომანში იგრძნობა მხატვრული სიტყვის ძალა. კონსტანტინე გამსახურდია გრძნობს, რომ მხოლოდ სიტყვის ოსტატურად გამოყენებას შეუძლია მძიმე და რთული ამოცანის გადაწყვეტა. თუ რა ძალით გრძნობს სიტყვის სურნელებას „ბელადის“ ავტორი, თუ როგორ დიდ პასუხისმგებლობას იჩენს იგი თვითეული სიტყვის შერჩევის დროს, თუ როგორ იტანჯება შემომქმედი სიტყვათა ამღერებაში, ამას შესანიშნავად ადასტურებს რომანის ერთი ადგილი: „სიტყვა,— სწერს გამსახურდია, — უცნაურია, ბგერების შერჩევითაც ზოგი. ხანდისხან სიტყვა არც სახიანია, არც აზრიანი, არც სარწმუნო და არც არსებული, მაინც გაგვახარებს, გვაწყენინებს, ან გაგვაოცებს.

მართლაც, რას არა ჰგავს სიტყვა? ყველა საგანს ამ ხმელის პირზე, ყველას, რასაც კი თვალთ მისწვდება ხოლმე. სიტყვა ქვიშასა ჰგავს ხანდახან. აიღებ და თითებშორის შემოგადნება. ხან მიწასა ჰგავს სიტყვა, ანეულის ორნატგავლებულს. თავდაპირველად მქისია, უსახო და უფერული, მაგრამ მის წიაღში ათასი ფერი სთვლემს და ათასი სახე რიალებს. ხანაც ელვასა ჰგავს სიტყვა. მთიებში თუ დაგსწრებიათ ელვათა ტეხა. მიდიხარ, მიფათურობ ბილიკზე, ასე გგონია არც მთაა სადმე, არც ქარაფი, არც მწვერვალები, ცა და ხმელეთი, სიბნელეში აღვებილანო.

ღრუბლების თავანზე გაჰკრავენ ტალკვესს, ცა გამოჩნდება ალმოდებული და გადმოდგება ბროლებრ ნაკვეთ მყინვარწვერებზე, ლანდის სისწრაფით თვალმოკრული ჰორიზონი. სიტყვა ზღვასა ჰგავს და წყლის ნამსხვრევსაც. წვეთავს და ჟინჟლავს... სულ სათითაოდ ეცემა კლდეზე. როშკას მწვერვალი ფერხთით თუ ოდესმე გამოგივლიათ, იქ თუ გინახავთ წყლის წვეთებისაგან დალეწილი ქარაფები, რუხი კლდეები, დევების ნაპარტახალივით დაფშვნილი, იგვლივ ხრამებსა და ღარტაფებში გადაცვენილი, ასე იტყოდით უთუოდ: ქაოსს მობრუნებიაო კვლავ მწვერვალების მტკიცე ბოქთარი (ასეთია ხანდისხან სიტყვა, როცა იგი უკავშიროდ ჰყრია ხოლმე ლექსიკონებში).

ზოგი სიტყვა სპეტაკია და პატიოსანი, როგორც ლოპოტის მარმარილო, მოქანდაკის სატეხს მონატრული, ნების დამყოფი. ზოგი რომანტიულია და ცისფერი, როგორც თეძამის ქვა, ზოგი გელათის გრანიტივით ყრუ და უსახო, ზოგსაც ისეთი ხატოვანება დაჰყოლია გაჩენის დღიდან, როგორც ბოლნისის ტუფს ატყვია ხოლმე, ნაზი, ნაზი ძარღვები, ბეწვზე უფრო წვრილი შტრიხები, ხან ველის პირის სწორი ხაზები, ხანაც მღელვარე ტეხილები მობიბინე ჯეჯილებისა, ზღვისა და ღრუბლის მოხატულობაში რომ მოუცია ბუნებას, ზოგი ლალივით გამჭვირვალეა, ზოგიც ეშმას ქვასავით მრუმე და გაბინდული, ზოგი კუშტია და ფშუტე და როგორც ის თიხა ფიქალი, რომლითაც ქოხებს იშენებენ ხოლმე ჩვენი... მეცხვარეები, ზოგი ჯიშმაგარია და მტკიცე, როგორც ის ალისფერი ქვა, რომელიც წულრულაშენის აჟურიან ჩუქურთმებისათვის უხმარია ტაძრის ოსტატს. ზოგიც კაჟის ნამსხვრევივით გლისპია, გარეგნულად სლიპი და ცივი, მაგრამ ხანძრებით მოსილია იგიც და მასშიაც ცეცხლი სთვლემს გაუმხელელი: ასეთი სიტყვა უცდის ხოლმე თავის დამკვესავს (იხ. „ბელადი“ გვ. 117).

ამ რომანში სჩანს ყადრი და პატივისცემა სიტყვისა, აქ არის ფერფლწაყრილი სიტყვათა ცეცხლის ხელახალი გაღვიძება მხატვრული ხანძრისათვის. სიტყვების ასეთი შერჩევით ჰქმნის გამსახურდია ტიპების ცოცხალ გალერეას. იმისათვის, რომ სრულყოფილად წარმოგვიდგინოს დიდი სტალინის ბავშვობა და ყრმობა, რომანის ავტორი ერთს და იმავე დროს ცდილობს ორი ადამიანის — უფლისა არაბულისა და მიხა ქილიფთარის სულის ძლიერებისა და ვნებათაღელვის გამოსახვას.

უფლისა არაბული რომანში წარმოდგენილია როგორც სიმბოლო ხალხის სიმტკიცისა, სულიერი სიმაღლისა და ნებისყოფის გაუტეხლობისა. საუკუნეების ტევრში ნაწრთობ წინაპართა ჩვეულება და ადათი, ზნე და ხასიათი, ვაჟკაცობა და მტრის სიძულვილი უფლისა არაბულში საიმედო დასაყრდენ ძალას პოულობდა. უფლისა არაბულის ოჯახის ტრაგიკულ ბედში ჩვენ ვკითხულობთ მთელი ხალხის უნუგეშო ხვედრს. არაბულებისათვის ჯუღაანთ სახლი იყო არა მარტო დასასვენებელი კერა, არამედ უკანასკნელი თავშესაფარიც. იქ, იმ პატარა ქოხში ირწეოდა აკვანი ჩვილი ყრმისა, რომლის ბედსაც უფლისა არაბულმა გაგა არაბულის სახით დაუკავშირა თავისი უკანასკნელი შთამომავალი.

უფლისა არაბულმა ჯუღაანთ ოჯახში მისვლისთანავე მხურვალედ დალოცა აკვანში მწოლარე ბავშვი — სოსო ჯუღაშვილი. და ეს ლოცვა ისეა წარმოდგენილი რომანში, თითქოს არაბულის სახით ჩვილ ყრმას მთელი ხალხი ლოცავდეს, არაბულის სიტყვები იმდენად ღრმაა თავისი გულწრფელობით და აზრით, რომ იძულებული ვართ დალოცვის მთელი ტექსტი მოვიყვანოთ: „მეცამეტე ყანწი აიღო მოხუცმა მეცხვარემ უნაბისფრად ლოყებალეწილმა და დაილოცა: „ღმერთო დიდებულო და დიდად სახსენებო, შენ გაუმარჯვე ამ ოჯახის დედაბოძს მის ჯავარსა და მის მომავალსა, ომჩი და ლხინჩი, შინა და გარეთა, წყალჩი და ზღვაჩი, მთაჩი და ბარჩი, შენ მოანიჭე მაგასა სიმარდე ფოცხვერისა, ლომგულოვნობა ნადირთა მეფისა“.

ესა სთქვა, უფლისა არაბულმა, ახალოხის უბეში ხელი ჩაიყო, რაღაცა ამოიღო, ჭინჭში გახვეული ეკატერინეს გადაუწოდა და ეუბნება: „ეს მგლის კბილებია და არწივის ბრჭყალებია. აკვანზე ჩამოუკიდე პატარა ბალღსა, გაიზარდოს, გახადოს უფალმა ქომაგი გლეხკაცისა, ჩვენისათანა გაჭირვებულის მოჯამაგირისა, სუყველა იმათი, ვინც ჩვენსავით ცრემლნარევი ოფლით ჭამდეს პურსა, ვის ნაშრომსაც სხვები იტაცებდნენ.

ღმერთო დიდებულო და დიდად სახსენებელო, შენ გაუმარჯვე ჯუღაანთ იოსებსა“, — ეს სიტყვა ღიმილით წარმოთქვა მეცხვარემ და როცა ბალღის მამა კმაყოფილი ღიმილით შეეგება მის სიტყვებს, დასძინა: „არწივის სილაღე ძიი და მუხლი მგლისა. დეე, მთელმა ქვეყანამ ისრე შაიყვაროს, გულისპირჩი ჩაიხვიოს იგი, როგორც მაგან ჩვენგან ნაჩუქარი ციკანი ჩაიხვია გულჩი წეღო“.

უფლისა არაბულის გამოყვანას რომანში მხოლოდ ეს ფუნქცია არა ჰქონდა. ამ ადამიანის უნუგეშო ბედში ამოიკითხა ყრმა სოსო ჯუღაშვილმა ქართველი ხალხის და საერთოდ მშრომელი ადამიანის მწუხარე ხვედრი.

კონსტანტინე გამსახურდიას რომანში უფლისა არაბული სიმბოლიური სახეა ცხოვრების სიბრძნით დამძიმებული ადამიანისა. უფლისა არაბულის სწორედ ეს მხარე ხდება ყრმა ჯუღაშვილისათვის მიმზიდველი.

მაგრამ მარტო უფლისა არაბული ვერ გამოდგებოდა მეგზურად ყრმა სოსოსათვის. უფლისა არაბულს აკლდა მწიგნობრული სიბრძნე. რომ ეს ცალმხრივობა არ დარჩენილიყო, რომანის ავტორმა ნაწარმოებში შეიყვანა მიხა ქილიფთარი, წინააღმდეგ არაბულისა, მიხა ქილიფთარი, მწიგნობრული სიბრძნის მატარებელი ადამიანია (თუმცა მას აკლია ცხოვრების სიბრძნე). ამ გზით ჩვენ მივიღეთ ერთგვარი წონასწორობა. ერთის მხრით ცხოვრების სიბრძნე — უფლისა არაბულის სახით, მეორეს მხრით მწიგნობრული სიბრძნე — მიხა ქილიფთარის სახით ორგანიულად ერთდებიან მცირეწლოვან სოსო ჯუღაშვილის შეგნებაში.

როგორც რომანიდან ვიცით, მიხა ქილიფთარი დიდად განსწავლული ადამიანია. მან დაამთავრა სასულიერო აკადემია. სასულიერო წოდებაზე უარი განაცხადა და მასწავლებლად გამწესდა, მაგრამ ჩუდეცკის მკვლელობაში ერთ-ერთ მონაწილედ იცნეს და „მგლის ბილეთით“ დაითხოვეს სასწავლებლიდან. ამ კონფლიქტის შემდეგ მიხა ქილიფთარი დაუბრუნდა თავის მშობლიურ კუთხეს, საკუთარი ხელით გააშენა ვენახი და პატარა ხეხილის ბაღი, თვალის ჩინივით უვლიდა საკუთარ ნახელავს. თავისუფალ დროს კი მიხა ქილიფთარი ქართველი ერის ისტორიაზე სწერდა გამოკვლევებს.

პოლიტიკური მდგომარეობით და ფსიქოლოგიური განწყობილებით მიხა ქილიფთარი ზედმეტი (და არა ყოფილი) ადამიანის ტიპია. თავის დროზე მიხა ქილიფთარის სუბიექტური განზრახვანი (უეჭველად პროგრესიული) წინ უსწრებდნენ არსებულ პირობებს, მაგრამ მაშინდელმა გაბატონებულმა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ ნამსხვრევებად აქცია მიხა ქილიფთარის სუბიექტური განზრახვანი. ამის შემდეგ დაიწყო ნელი რღვევა ქილიფთარის პიროვნებამ. მას გული აუცრუვდა აწმყოზე, ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა მომავალზე და შეგნებით უკან იხედებოდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ წინსვლა შესძლებოდა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ სხვები წაექეზებინა წინსვლისათვის.

მიხა ქილიფთარის პერსონის მორალი და ფსიქოლოგიური სახე, განსაკუთრებით მიმზიდველი ხდება რომანის უკანასკნელ ნაწილში. როგორც მკითხველმა იცის, მოხუცი მიხა ქილიფთარი იქ, იმ მომენტში განიცდის ორ, ერთი-მეორისადმი საწინააღმდეგო, ტკივილისა და სიხარულის განუმეორებელ გრძნობას. ტკივილის გრძნობა გამოწვეულია იმის შეგნებით, რომ მას სამუდამოდ ეთხოვება ახალგაზრდობის წრე სოსო ჯუღაშვილის მეთაურობით, სიხარულის გრძნობას იმიტომ, რომ მოხუცის შეგნებით აქ გათავდა სოსო ჯუღაშვილის ბავშვობა და ყრმობა და დაიწყო სერიოზული ხანა ახალგაზრდა კაცის ცხოვრებაში. ამ გრძნობით არის გამოწვეული მიხა ქილიფთარის მიმართვა ახალგაზრდა მეგობრებისადმი:

„გაიხარეთ და გაახარეთ თქვენი ქვეყანა, შვილებო, ისე როგორც მე ეს მტევნები მახარებენ უსასოო მოხუცს... უცხოელები მოდიან ხოლმე ჩვენს ქვეყანაში ხშირად, აქებენ ჩვენი ქვეყნის მშვენებას, ჩვენს ამო ჰავას, ღვინოსა და ხილს, ლამაზი ხალხიაო, ასე ამბობენ ჩვენზედაც. არ ვარგა შვილებო, როცა მარტოოდენ სილამაზის გიჟებენ უცხონი, ისა სჯობია უსახო ვაჟკაცები ვიყვეთ, ვიდრე ლამაზი ჯაბანები, შვილებო.

„გუშინ დილით დიდი ჯაფა დაგადგათ ნანგრევებზე ასვლისას. განაგონი გაქვთ ალბად, მუნ ათენებდნენო ჩვენი წინაპრები ოდესღაც კოცონებს. უფრო მაღალ მწვერვალებზე მოგიხდებათ ალბათ, ცხოვრებაში ასვლა. იცოდეთ, ისეთი კოცონი უნდა გააჩაღოთ, მთელმა ქვეყანამ დაინახოს შორისგების ალი“.

ამ სიტყვით დაამთავრა მიხა ქილიფთარმა თავისი როლი რომანში. ტრილოგიის პირველი ნაწილიც აქ დასრულდა.

უკანასკნელად გვინდა დავუბრუნდეთ იმ კითხვას, რომელიც დასმული იყო წერილის შესავალ ნაწილში. სახელდობრ: რომანის ავტორმა შესძლო თუ არა, ფოტოგრაფიული პორტრეტის ნაცვლად, დიდი მომავლის მქონე ყრმა სოსო ჯუღაშვილის ძლიერი სულის აღდგენა მხატვრულ ფერებში?

ვისაც კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „ბელადი“ გულდასმით წაუკითხავს, ამ კითხვაზე გარკვეულ პასუხს მიიღებს. სახელგანთქმულმა არისტოტელმა არა ერთხელ აღნიშნა, რომ თუ მწერალს სურს მხატვრულ სიტყვაში დაიმორჩილოს ბავშვობის ასაკი თვით მწერალი პირობითად უნდა გაბავშვდესო. ნელი პროცესით უნდა დაუბრუნდეს ბავშვობის პირველ სიხარულს და გონების ძალით საკუთარ თავზე უნდა გამოსცადოს ბავშვის რთული და შინაარსიანი ცხოვრება.

არ ვიცი, რამდენად სავალდებულოა ეს შემოქმედების რთულ პროცესში, მაგრამ უდავოა, რომ ბავშვისა და მით უფრო გენიალური ბავშვის მოქმედების მხატვრულად აღწერის დროს, მისი სულიერი სამყაროს ჩვენებისას საჭიროა ზომიერების გრძნობა და რეალისტური ალღო.

გადაიკითხეთ რომანის ის თავები, სადაც აღწერილია სტალინის ბავშვობა, განსაკუთრებით ყრმა სოსოს მისვლა ამილახვრების ოჯახში დედის სანახავად, დედათა ქვაბის აღება რაინდების მიერ და ზურაბ ამილახვრის მეტოქეობა სოსოსთან, სკოლაში გატარებული დღეები და მეგობრებთან დამოკიდებულება, დამოკიდებულება უფლისა, მამუკა, გაგა არაბულებთან და მიხა ქილიფთართან და დარწმუნდებით, თუ რა ნაზი და სუფთა მხატვრული ძაფებით ჰქსოვს რომანის ავტორი დიდი ადამიანის ბავშვობისა და ყრმობის იმ ძვირფას სახეს, რომელიც პროგრესიული კაცობრიობის შეგნებაში კანდელივით ბრწყინავს.

ავტორი რომანისა ფრიად ორიგინალური მხატვრული ფერებით ხატავს დიდი სტალინის ბავშვობისა და ყრმობის დღეებს. მწერალმა მარადისობაში გარდასული დროის სურნელების აღდგენა სცადა. ეს ცდა გამარჯვებით დამთავრდა.

ორიოდე სიტყვა რომანის მხატვრულ მხარეზე. ცნობილია, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ თავის შემოქმედებაში უარჰყო მყარი სიუჟეტის კლასიკური ფორმა. მან ქართულ ბელეტრისტიკაში შემოიტანა ერთგვარი მოდერნიზებული ფორმა სიუჟეტისა (ეს გარემოება ნაწილობრივ ამძიმებს ნაწარმოების კითხვის პროცესს). კონსტანტინე გამსახურდიამ ქართულ ლიტერატურაში შექმნა თხრობის თავისებური სტილი (სიტყვათა ისეთი კომბინაცია წინადადებაში, რომელიც პროზას პოეტურ ელფერს აძლევს).

კონსტანტინე გამსახურდიამ გამოიყენა მთელი თავისი ოსტატური გამოცდილება „ბელადის“ წერის დროს და შექმნა დიდი მხატვრული ტილო.

ჩვენ არ გვინდა უარვყოთ ზოგიერთი ჩრდილი, რომლებიც ამ დიდ ნაწარმოებში შავ წერტილებად მოსჩანან (ეროტიკის სიჭარბე, — გვერდი 151, 159, ზოგიერთი ქრონოლოგიური აღრევა, წმინდა სტილისტური ხასიათის დეფექტები). მაგრამ ეს ხელს არ უშლის ნაწარმოების სიდიადეს.

პოეტ გიორგი კალანდაძის საღამო

[illegible]

ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობები რუსულად

[illegible]

„საბჭოთა ხელოვნება" № 2-3

[illegible]

საზღვარგარეთ

იღუპება 15 მილიონი წიგნი

[illegible]

დისნეის ახალი ფილმი „პინოკიო"

[illegible]

„იულიუს კეისრის" ახალი „დადგმა"

[illegible]

ნაპოლეონის ხელნაწერის ღირებულება

[illegible]

ფრანგული კინოს პერსპექტივები

[illegible]

ბიბლიოგრაფია

დომენტი თომაშვილი—„ლექსები"

„ფედერაცია", 1939 წ. 186 გვ. ფასი 11 მან.

[illegible]

[illegible]

გიორგი იშხნელი

ნიკო ზვარაძე

[illegible]

[illegible]

სარედაქციო კოლეგია:
[illegible]

რედაქციის მისამართი: მარქსის ქუჩა № 13. (მწერალთა სახლი) ტელეფონი 3—47—10.

ს. თოიძის სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—168